# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 25 აპრილი, 2013 წელი.

№77 (7204)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცილისწამებით და ჭორებით ხელის გასვრა ყოველ უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


# იქნებ ასეც არის?!..

## ცოტა არ იყოს, ძნელად გასაგებ პოლიტიკურ ვითარებაში ვართ

**როგორც** ჩანს, „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ტაქტიკურად ნაციონალების გულის გასახარად „უშვებენ შეცდომებს და საბედისწეროდაც იმიტომაც ზოზინებენ“, რათა კიდევ უფრო გამოკვეთონ ოპოზიციური კუთხით დამარცხებული და ხალხის წინაშე ცხრა გრძელი წლის მანძილზე მილიონებთან ერთად სირცხვილნაჭამი სააკაშვილის გუნდი და უმრავლესობის „სამხილებელი“ არ გამოუელიონ!..

აბა, სხვა რით უნდა ავხსნათ ეგრეთ წოდებული უმცირესობა-უმწირესობის ის გაუთავებელი და თავმომაბეზრებელი შეტევა-თავდასხმები „ქართულ ოცნებაზე“, რისი მოწმენიც პირველი ოქტომბრის შემდეგ თითქმის ყოველდღიურად ვართ ოცნების შემართულად მომხრე და ბევრი სიკეთის მომლოდინე ადამიანები... უმცირესობა-უმწირესობა კი კვლავ განაგრძობს კრიჭაში დგომას და თეთრზე შავის ძახილს.



ჯანი გავარდეს, დაგიჯერებთ, მაგრამ ჯანის რა ვუყოთ? 2

უფასო პოლიტიკური... პროსტიტუცია

რატომ ზრუნავს უსუფაშვილი ნაციონალების გაცოცხლებაზე? 3

ფეხქვეშ გათელილი ბიზნესი 7

ნატოს სთავაზობს მომსახურებას 2

რატომ მოხდა აგრესია, რატომ გადმოლახა რუსეთის ჯარმა საქართველოს საზღვარი? 5



„გამოკითხვების მიხედვით, ჩვენ მოგებული გვაქვს არჩევნები ნაძალადევის რაიონში“ 4



სერბია და კოსოვო მორიგდნენ 8



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..


PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**რიტორიკული კითხვები**

# ჯანი გავარდეს, დაგიჯერებთ, მაგრამ ჯანის რა ვუყოთ?




**ცნობილ ჯანიზე მოგახსენებთ ამას, ბნაცმოძრაობელებო, ბუკიკიოზე, ვენეციის კომისიის თავმჯდომარეზე, რომელი კომისიისა და იმისი ხელმძვანელის სახელიც დღემუდამ პირზე გაკერიათ, ვითარც ოციანი წლების მგზნებარე კომუნისტებს ლენინის ანდერძი: ვენეციის კომისიამ ასე თქვა, ამნაირი რეკომენდაციები მოგვცა, ამგვარი მიზნები დაგვისახა და ისინი უთუოდ მთელი სისრულით უნდა გავითვალისწინოთო.**

ხოლო როდესაც საპარლამენტო უმრავლესობამ ყურად არ იღო თქვენი ღაღადი და საერთო სასამართლოებთან დაკავშირებით ის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც სწორად მიაჩნია, მიხეილ სააკაშვილმა მას ვეტო დაადო, რომელი ვეტოც, საპარლამენტო **უმწირესობის** ერთ-ერთი ლიდერის ლევან ბეჟაშვილის განცხადებით, თურმე **„ერთი ერთზე ითვალისწინებს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს“,** და „ქართული ოცნებისთვის“ კვანტის გამოკვრას კი არა, იმასღა ისახავს მიზნად, რომ საპარლამენტო უმრავლესობას კიდევ ერთხელ მიეცეს დაფიქრება-მდგომარეობის გამოსწორების საშულება.

**ჯანი გავარდეს, დაგიჯერებთ, გნაცელებო, მაგრამ თავად ჯანი, ბუკიკიო, რომ არანაირად არ ჩანს განაწყენებული თავისი კომისიის დასკვნა-რეკომენდაციების უგულებელყოფით, რასაც თქვენ ამტკიცებთ?**

ალბათ, თქვენც ნახავდით და მოისმენდით გუშინწინ სტრასბურგში, ბატონ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრისას, ჯანი ბუკიკიოს ნათქვამს, რომ იგი **დადებითად აფასებს ჩვენთან სასამართლო რეფორმების მიმდინარეობას და მიაჩნია, რომ ამ მხრივ ყველაფერი სწორი მიმართულებით ვითარდება**.

რა ვქნათ ახლა, უფალო ბეჟაშვილებო, გაბაშვილებო, თაქთაქიშვილებო, კანდელაკებო, დარჩიაშვილებო...

**თუმცა, რა აზრი აქვს თქვენი გვარების ჩამოსახელებას, თუკი უმწირესობის წევრები გარეგნობით არა, მაგრამ აზროვნება-პოზიციით კი მართლაც ტყუპისცალებივით ჰგავხართ ერთმანეთს?**

ამიტომაც მივმართავ, ვთქვათ, გოკას (გნებავთ, აკუკის...) და გგულისხმობთ ყველას — **უმწირესობის** წევრებს: **მართალია, სირცხვილის გრძნობა დიდად არასოდეს არ გაწუხებდათ, არც ახლა გაწუხებთ და არც ჩვენი, საზოგადოების, აზრი გაინტერესებთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჯანის რა ვუყოთ, ბუკიკიოს?**

იმ ჯანის, რომელმაც, თუ თქვენი პოზიცია-გამონათქვამებით ვიმსჯელებთ, თურმე თვითონაც არ იცის, თავად რას ფიქრობს და ამბობს?

**არ გიფიქრიათ, რომ ამით მას შეურაცხყოფთ?**

# უფასო პოლიტიკური... პროსტიტუცია

**ბოდიშს ვიხდი ამ ქვესათაურისთვის! ოღონდ მკითხველებთან, და არა ამ, მართლაც, პროსტიტუციის ტოლფარდი ე წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის შემქნელებთან, ყოველდღე რამდენიმეჯერ რომ ტრიალებს თუნდაც „რუსთავი-2“-ის ეთერში შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში დასახელებულ ნაცმოძრაობის წარმომადგენელთა მხარდასაჭერად.**

აი, ამ „რეკლამის“ ერთი მონაკვეთი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:




**თუ ეს მართალია, ბინას უპატრონოდ ვერ უნდა ვტოვებდეთ და, ბავშვებს უმეთვალყურეოდ ვუშვებდეთ კი არა, დიდებიც ვერ უნდა გავდიოდეთ ქუჩაში მანიაკებად ქცეული მკვლელების შიშით!**

**ხოლო თუ ასე არ არის** (რომ არ არის, ფაქტია, რადგან, ასე რომ იყოს, ამის სუსხ-სიმწარეს უთუოდ საკუთარ ტყავზე ვიგრძნობდით!), **ამას რატომ არავინ არ აპროტესტებს დღევანდელი მთავრობიდან?**

მართალია, შესაძლო მხილებით „გნაცელ“ დემაგოგებს ნირიც არ შეეცვლებათ (გაწითლებასა და, მით უფრო, რამდენადმე მაინც დარცხვენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია!), მაგრამ ეს საზოგადოებისთვისაა საჭირო.

**იფიქრეთ ამაზე, ბატონებო!**

**რუსლან რუსია**

**ექო**

# გია ხუხაშვილი: მთავარი შინაარსია და არა გრამატიკული შეცდომა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია და შეესაბამებოდა აბსოლუტურად დიპლომატიის და პოლიტიკის უმაღლეს სტანდარტებს, — ასე აფასებს ექსპერტი გია ხუხაშვილი ბიძინა ივანიშ-**



**ვილის გუშინწინდელ გამოსვლას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე.**

როგორც „ივერონს“ გია ხუხაშვილმა განუცხადა, ბიძინა ივანიშვილი უნაკლოდ გამოვიდა.

**„მიუხედავად იმისა, რომ იქ იყო მცდელობა რაღაც ჩამჭრელი კითხვებისა, ბიძინა ივანიშვილის პასუხები იყო სრულად ამომწურავი. პრემიერმა ყველაფერი სწორად და გასაგებად განმარტა“,** — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

იგი პრემიერის მიერ გამოთქმულ სიტყვა „ტუპიკსაც“ შეეხო და კომენტარში განმარტა, რომ **„ძალიან ადამიანური და ჩვეულებრივი იყო ეგ ფრაზაც, ჩვენ ასე არ უნდა მიუდგეთ ამ საკითხს. ადამიანები ვართ ყველანი და შეიძლება შეგვეშალოს, მერე რა მოხდა. პრობლემა რამე სისტემურია?! თარგმანის პრობლემა არ იყო და მგონი ყველამ ადეკვატურად გაიგო ამ პასუხის რეალური შინაარსი. ვფიქრობ, რომ მთავარი შინაარსია და არა გრამატიკული შეცდომა“.**

რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილის მიერ საქართველოს პრეზიდენტის კრიტიკას, ექსპერტს მიაჩნია, რომ პრემიერ-მინისტრმა ევროპარლამენტარებს კიდევ ერთხელ გააცნო ის რეალობა, რაც 9 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ხდებოდა.

**„ბატონმა ბიძინამ ისაუბრა იმ რეალობაზე, რაც საქართველოში იყო წლების განმავლობაში. დანაშაულებრივი რეჟიმი, ადამიანის უფლებების ტოტალური დარღვევა, ნების გამოხატვის შეზღუდვა, მონოპოლიზებული ეკონომიკა და ასე შემდეგ. მან იმ რეალობაზე ისაუბრა, რის შესახებაც ჩვენ ყველამ კარგად ვიცით. მან ევროპარლამენტარებს კიდევ ერთხელ განუმარტა, თუ რა ხდებოდა იმ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის, რუსეთთან მიმართებაშიც. როდესაც სააკაშვილი თამაშობდა ვირტუალური დავითის როლს და უნდოდა ისტორიის მითოლოგიზება, ისტორია მკაცრი და სასტიკია, სააკაშვილმა ამ რეალობის წინ დააყენა მთელი ქვეყანა და სწორედ ამ პოლიტიკის გამო მოხდა ის დრამატული მოვლენები, რაც მოხდა 2008 წელს საქართველოში“.**

**ვიზიტი**

# ბიძინა ივანიშვილი რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს მინიონისთან ერთად სადილზე შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებთან გასაუბრების დეტალებს განმარტავს.**

როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, მათ შორის გასაუბრება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტ ჟან კლოდ მინიონის ორგანიზებით გამართულ სადილზე შედგა.

— ბატონი მინიონის ინიციატივით და მიწვევით ვიყავით იქ, მათ შორის იყვნენ რუსული დელეგაციის წევრები, რაც რატომღაც არ მოეწონათ ჟურნალისტებს. მე მოვახერხე სუფრასთან მათთან გასაუბრება, მოვახერხე გასაუბრება პოლონელ დეპუტატთანაც, რომელმაც ყველაზე მკაცრი კითხვა დამისვა, თუმცა ჟურნალისტებმა ამას არ მიაქციეს ყურადღება და რატომღაც მარტო რუსეთის დელეგაციის წევრებთან გასაუბრება დაიმახსოვრეს. სხვათა შორის, ძალიან დავუმეგობრდი პოლონელ პოლიტიკოსს, რომელმაც გაუგებარი კითხვა დასვა, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ამასთან, საქართველოს პრემიერმა თავისი სტრასბურგში ვიზიტიც შეაფასა და აღნიშნა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს.

* * *

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის სტრასბურგში ვიზიტი გრძელდება. საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის ფარგლებში ბიძინა ივანიშვილი რუმინეთის პრემიერ-მინისტრს ვიქტორ პონტას შეხვდა.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავის რუმინელ კოლეგას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მტკიცე მხარდაჭერისა და საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის კუთხით აქტიური დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის, მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო ურთიერთობების გაფართოების საკითხებზეც იმსჯელეს.

**კანონმდებლები**

# დაძლევენ დეპუტატები პრეზიდენტის ვეტოს?

**მმართველ გუნდს პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედის მხარდაჭერა, ანუ სულ მცირე 89 დეპუტატის მობილიზება სჭირდება. უმრავლესობა სულ 83 დეპუტატით არის წარმოდგენილი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტის ვეტოს დასაძლევად „ნაციონალური მოძრაობიდან“ გასული მაჟორიტარების მხარდაჭერა დასჭირდება.**

კონსტიტუციით დადგენილი წესით, როცა პრეზიდენტი პარლამენტის მიერ მიღებულ კანონპროექტს ხელს არ აწერს, პარლამენტს უკან საკუთარი შენიშვნებით უბრუნებს. პარლამენტი თავდაპირველად კენჭს სწორედ პრეზიდენტის შენიშვნებს უყრის. შენიშვნათა მისაღებად საკმარისია ხმათა იგივე რაოდენობა, რაც მოცემული კანონპროექტის მისაღებად კონსტიტუციით და პარლამენტის რეგლამენტით არის განსაზღვრული. პარლამენტის მიერ პრეზიდენტის შენიშვნების მიღების შემთხვევაში, კანონპროექტის საბოლოო რედაქცია პრეზიდენტს გადაეცემა, რომელიც შვიდი დღის ვადაში ხელს აწერს და აქვეყნებს მას.

იმ შემთხვევაში კი, როცა პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებს არ იღებს და კენჭისყრის შედეგად მის მიერ შეთავაზებულ ვარიანტს ჩააგდებს, კენჭი კანონპროექტის პირვანდელ რედაქციას ეყრება.



ასეთ დროს კანონი ან ორგანული კანონი მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედი დაუჭერს.

პრეზიდენტმა ვეტო დაადო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საკანონმდებლო პაკეტს და ასევე „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს, რომლის საფუძველზეც, ბრალდებულის მიერ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოზე უარის თქმა ბრალდების მხარესთან შეთანხმების საგანი ხდება.

**წინადადება**

# ნატოს მომსახურებას სთავაზობს

**საქართველო ნატოს ავღანეთიდან ტვირთების გადაზიდვას ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზით სთავაზობს. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ნატოს მინისტერიალზე შეხვედრის კომენტირებისას განაცხადა.**

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე მან ავღანეთის მისიაში საქართველოს მონაწილეობაზე ისაუბრა.

როგორც ფანჯიკიძემ აღნიშნა, ამჟამად, საქართველო ავღანეთში 1700-მდე სამხედრო მოსამსახურით არის წარმოდგენილი და 2014 წლის შემდეგაც გააგრძელებს ავღანეთში საკუთარ კონტრიბუციას.

მინისტრის განცხადებით, შეხვედრაზე მან კიდევ ერთხელ ისაუბრა მთავრობის ინიციატივაზე და ალიანსის ავღანეთიდან ტვირთების უკუ-ტრანზიტისათვის ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო ხაზი შესთავაზა.

— ჩვენ ამ საკითხზე ყოველთვის ვსაუბრობთ ნატოელ პარტნიორებთან. პირველად ეს ინიციატივა ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრის დროს პრემიერ-მინისტრმა გააჟღერა. ინტერესი ამ სარკინიგზო მონაკვეთის მიმართ ძალიან დიდია. თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც აღნიშნა ამის შესახებ საკუთარ გამოსვლაში. ანუ ეს არის სამი ქვეყნის ერთობლივი პროექტი, რომელიც ნატოსთვის შეიძლება იყოს საინტერესო. როდესაც 2014 წლის შემდეგ დაიწყება ავღანეთიდან სამხედრო შენაერთების გაყვანა და სამხედრო ტვირთების გამოტანა, ეს არის უმოკლესი და შეღავათიანი გზა. ამიტომ, ეს დადებითად იქნა აღქმული დღევანდელ შეხვედრაზეც. დარწმუნებული ვარ, ეს წინადადება მისაღები გახდება ნატოსთვის, — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ, — იუწყება ინტერპრესნიუსი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ ყოფილი მინისტრის აზრი



ირაკლი მენაღარიშვილი:

# ივანიშვილმა სტრასბურგში ყველა ის გზავნილი ჩაიტანა, ევროპა ჩვენგან რომ ელოდა

**პრემიერ-მინისტრ ივანიშვილის ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაციის სტრასბურგში ვიზიტის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის თანათავმჯდომარეს ირაკლი მენაღარიშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო ირაკლი, როგორ შეაფასებდით საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტს სტასბურგში? შეხვედრებს ევროსაბჭოს პრეზიდენტთან, ევროსაბჭოს ხელმძღვანელებთან და ევროსაბჭოს ასამბლეის სხდომაზე მის პირველ გამოსვლას და ახალი ხელისუფლების მცდელობას, გააცნოს საკუთარი თავი ევროპას?**

— პრემიერ-მინისტრის ეს ვიზიტი ევროპაში პირველი არ გახლდათ, მანამდე იგი ბრიუსელშიც იმყოფებოდა, ცოტა ხნის წინათ გერმანიაშიც ჰქონდა საინტერესო შეხვედრა ევროპელ პოლიტიკოსთა ჯგუფთან. თუ ევროსაბჭოს მნიშვნელობასა და ავტორიტეტს გავითვალისწინებთ, სტრასბურგში პრემიერის ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო. ეს გახლდათ საქართველოს ახალი ხელისუფლების ხელმძღვანელის პირველი ოფიციალური გამოსვლა მაღალი ევროპული ტრიბუნიდან. იმ ინფორმაციით, რაც ჩვენ დღეს გვაქვს, შეხვედრები, რომელიც გუშინ და დღეს შედგა, წარმატებული იყო. თუმცა, ალბათ, ყველა დეტალი დელეგაციის თბილისში დაბრუნების შემდეგ გახდება ცნობილი და გვექნება შესაძლებლობა უფრო ღრმად ჩავიხედოთ გამართული შეხვედრების შედეგებში. თუმცა, როგორც მასპინძლების, ისე სტუმრების აზრით, ყველა ორმხრივი საუბარი საინტერესო გახლდათ და მე იმედი მაქვს, ქვეყნისთვის სასარგებლო იქნება.

ვფიქრობ, ასეთივე გახლდათ პრემიერის გამოსვლა ასამბლეის სხდომაზე. ბატონმა ივანიშვილმა სტრასბურგში პრაქტიკულად ყველა ის გზავნილი ჩაიტანა, რომელსაც ევროპა ჩვენგან ელოდა.

**— ინტერვიუს ჩაწერამდე ბრძანეთ, რომ პრემიერის მხოლოდ გამოსვლა მოისმინეთ და დისკუსიის მოსმენა ვერ შეძელით, მაგრამ ივანიშვილმა კითხვებზე პასუხისას ყურადღება კვლავ გაამახვილა წინა ხელისუფლების საქმიანობასა და დაშვებულ შეცდომებზე. მხედველობაში მაქვს ივანიშვილის განცხადებები იმის თაობაზე, რომ წინა ხელისუფლების პირობებში ტოტალურად ირღვეოდა ადამიანის უფლებები, ზეწოლა ხორციელდებოდა ბიზნესზე, ოპონენტებზე და მედიაზე. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურად აფასებენ ევროპარლამენტარები საქართველოში არსებულ ვითარებას?**

— თუ ეს შეკითხვები კიდევ შეიცავდა ეჭვს შეფასებების ობიექტურობაში, რა თქმა უნდა, სამწუხაროა. გამოდის, რომ ის სამუშაო, რომელიც ევროპული თანამეგობრობის ინფორმირებისათვის იქნა გაწეული, საკმარისი არ არის და მისი აქტიური და შესაბამისად ეფექტური წარმართვაა საჭირო.

რაც შეეხება ქვეყანაში არსებულ სიტუაციას ოქტომბრის არჩევნებამდე, მისი საერთო, შეჯამებული შეფასება, არჩევნების შედეგები გახლდათ. არა მგონია, ვინმესთვის, განსაკუთრებით ევროპელი პოლიტიკოსებისთვის, დასკვნა ძნელად გასაკეთებელი ყოფილიყო. რომ არა ეს პრობლემები ქვეყნის ეკონომიკაში, სამართალდამცავ სისტემაში, ქართველ ხალხს ხელისუფლების შეცვლა არ დასჭირდებოდა.

**— დეპუტატმა გიორგი კანდელაკმა ივანიშვილის ევროსაბჭოს ასამბლეის სხდომაზე გამოსვლას „სამარცხვინო“ უწოდა. მისივე აზრით, ივანიშვილის გამოსვლა ასამბლეის წევრების მიმართ „კონფრონტაციული“ იყო და მას რცხვენია იმის, რომ საქართველოს პრემიერმა ევროპარლამენტარებს „სიცრუის მსხვერპლნი“ უწოდა და სტრასბურგში ამგვარი გამოსვლა „თვითმკვლელობის ტოლფასად“ მიიჩნია. რამდენად ადეკვატურად აფასებს დეპუტატი კანდელაკი პრემიერ-მინისტრის სტრასბურგში გამოსვლას?**

— გულახდილად გითხრათ, ამგვარი თემების განხილვის აზრს უბრალოდ ვერ ვხედავ. ეჭვი არ მეპარება, ბევრისთვის ეს შეკითხვა გუშინაც რომ დაგესვათ, ზუსტად ისეთივე პასუხს მიიღებდით. აქ ხომ საუბარი შიდაპოლიტიკურ დავაზეა და არა რაიმეს სუბიექტურ თუ ობიექტურ შეფასებაზე.

**— დეპუტატ თინა ხიდაშელის განცხადებით, რომელიც ასამბლეის სხდომას ესწრებოდა, „ევროპარლამენტარებმა ივანიშვილის გახსნილობა დაინახეს, რაც სახელმწიფო მეთაურებს არ ახასიათებთ“. თქვენი აზრით, რამდენად ფასეულია „ბებერ ევროპაში“ პოლიტიკოსის გახსნილობა და რამდენად დიდია იმის ალბათობა, რომ პოლიტიკოსის მაქსიმალური გახსნილობა ქვეყნისთვის კარგი შედეგის მომტანი აღმოჩნდება?**

— თუ ტერმინ გახსნილობაში, გულწრფელობა იგულისხმება და აუდიტორიამ ეს პოლიტიკოსისგან იგრძნო, ეს წარმატებაა.

**— სტრასბურგში გამოსვლა დასრულებული არ იყო, როცა წინა ხელისუფლების მხარდამჭერები სოციალურ ქსელებში გააქტიურდნენ. ზოგი ივანიშვილს ენების არცოდნას საყვედურობდა, ზოგიც იმას, რომ პრემიერმა იცრუა, როცა თქვა, რომ პრეზიდენტს არც ერთი ელჩი არ დაუმტკიცებია...**

— მიუხედავად იმისა, რომ მე მხოლოდ ბატონი ივანიშვილის მოხსენების მოსმენის საშუალება მქონდა, მაინც შემიძლია გითხრათ, რომ „ფეისბუქთან“ დაკავშირებული ისტორია ნამდვილად არ არის გასაკვირი. ეს ასე, ალბათ, ყველა შემთხვევაში იქნებოდა. თუ ივანიშვილის პასუხში რაიმე ფაქტი დამახინჯდა, რა თქმა უნდა, ეს მიუღებელია და რაიმე ფორმით ამის გამოსწორებაა საჭირო. ეს შეიძლება გაკეთდეს დიპლომატიური ან სხვა არხებით, ამის საშუალებები არსებობს.

**— პრემიერ-მინისტრმა სტრასბურგში გამოსვლისას კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრებას ალტერნატივა არ აქვს“, თქვენი შეფასებით, ამ ვიზიტის შემდეგ სავარაუდოდ როგორ განვითარდება ევროპასა და საქართველოს შორის ურთიერთობები?**

— როგორც არაერთხელ მითქვამს, ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ შეძლებს საქართველო იმ „საშინაო დავალების“ შესრულებას, რომელიც ყველა ევროპული ოჯახისკენ სწრაფვის მქონე ქვეყანას აქვს. ეს სერიოზული საშინაო დავალებაა. ჩვენ რამოდენიმე ნაბიჯი ამ მიმართულებით გადავდგით და ამას ყველა აღიარებს, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ გრძელი გზა გვაქვს გასავლელი. ამიტომ, ნუ ჩავთვლით, რომ ერთი, თუნდაც წარმატებული აქცია ყველა პრობლემას მოხსნის. ჩვენს ქვეყანას, დემოკრატიული მშენებლობის ჯერ კიდევ სერიოზული და არც თუ იოლი ამოცანა უდგას წინ.

**კობა ბენდელიანი**

◉ ინფორმაცია

## ახალ ავტომობილებს შეისყიდიან, მაგრამ ბიუჯეტი დაიზოგება

**საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, ორი ახალი ვერცხლისფერი ავტომობილის შეძენაზე ელექტრონული სატენდერო განცხადება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოქვეყნდა.**

**სატენდერო პირობების მიხედვით, სამინისტრო ორი ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის ძრავიანი სატრანსპორტო საშუალების შესყიდვას გეგმავს. ავტომობილები 2013 წელს უნდა იყოს გამოშვებული და გარბენი 40 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 78 500 ლარს შეადგენს. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება 26 აპრილს იწყება და 30 მაისს დასრულდება.**

**ენერგეტიკის სამინისტრო ავტომობილების შესყიდვასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, თუ რისთვის სჭირდება სამინისტროს ორი ახალი ავტომობილის შეძენა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში რეორგანიზაცია მიმდინარეობს; გარემოს დაცვის სამინისტროში გადადის ბუნებრივი რესურსების სააგენტო, ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტი.**

**— ამ რეორგანიზაციის პროცესში გადასულ სეგმენტს მიყვება სამინისტროს კუთვნილებაში მყოფი სამი ძვირადღირებული ავტომანქანა. ვინაიდან ენერგეტიკის სამინისტრო ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით ჰესების მშვენებლობა -რეაბილიტაციის, გამრიცხველიანების, გაზიფიკაციის ობიექტების მონიტორინგს და საჭიროებს გარკვეული რაოდენობის ოპერატიულ მანქანებს, გამოცხადდა ტენდერი. აღსანიშნავია, რომ ძვირადღირებული, დიდი ლიტრაჟის მქონე ავტომობილების ნაცვლად (ძრავი 4.0; საწვავის ხარჯი 25 ლიტრი X100კმ-ზე) მოხდება შედარებით იაფფასიანი მაღალი გამავლობის საბაზისო მოდელის ავტომობილის შესყიდვა, რომლის საწვავის ხარჯიც იქნება არაუმეტეს 10 ლიტრისა 100 კმ-ზე, — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.**

**უწყებაში განმარტავენ, რომ სამომავლოდ სამინისტრო სხვა ძვირადღირებული ავტომანქანების ეტაპობრივად ჩანაცვლებას აპირებს იმავე ფუნქციების, შედარებით დაბალფასიანი მანქანებით.**

**— აღნიშნული შესყიდვით, წლის განმავლობაში დაზოგილი იქნება მნიშვნელოვანი საბიუჯეტო თანხები საწვავის მნიშვნელოვანი ეკონომიის ხარჯზე, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ინტერპრესი**

◉ როდის აღდგება სამართლიანობა?

# რატომ ზრუნავს უსუფაშვილი ნაციონალების გაცოცხლებაზე?

**საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვა მიმდინარეობს თუ დასავლეთის თვალში, ცივილიზებულ დემოკრატიულ ხელისუფლებად წარმოჩენის მცდელობაა, ხელისუფლება არ ჩქარობს, მაგრამ საზოგადოება კვლავ მოუთმენლად ელის სამართლიანობის აღდგენას.**

**დროდადრო კი ისიც გვესმის დღევანდელი ხელისუფლების ლიდერებისაგან, რომ სამართლიანობა უკვე აღსდგა. გასაგებიცაა — ყოფილი ხელისუფლების ჩინოვნიკთა პასუხისმგებლობის საკითხს დასავლეთი მწვავედ ეხმაურება და შესაბამისად, წინა ხელისუფლების დროს, უფლებაშელახულთა უფლებების აღდგენაც აგვიანებს.**

**რაც შეეხება დანარჩენს, ანუ იმ დემოკრატიულ ღირებულებებს, რასაც ყოველ ნაბიჯზე არღვევდა ხელისუფლება, ამ მხრივ, სასაყვედურო ნაკლებადაა და ერთ-ერთ ბოლო პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმაც აგვიხსნა, რომ „რაკი დღეს არც პოლიტიკური დევნაა, არც პოლიტიკური ზეწოლა, არც სიტყვის თავისუფლების მხრივ გვაქვს პრობლემები, მოიხსნა შიში, შეწყდა მოსმენები და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ სამართლიანობა აღდგა“.**

**საზოგადოებისთვის სამართლიანობის აღდგენა უპირველესად, ყოფილი ხელისუფლების დანაშაულებრივ ქმედებებზე პასუხისგებაა, იმ ჩინოვნიკების დასჯა, რომლებიც მკვლელობებს ფარავდნენ, ბიუჯეტის ფულს ითვისებდნენ, სხვისი ქონებისა და ბიზნესების მითვისებაზე კი უკვე 10 წელია ლაპარაკობენ.**

**ამ ყველაფრის რამდენიმე თვეში დალაგება შეუძლებელია, საზოგადოებაც მოთმინებით ელოდა სამართლის „ჟამს“, თუმცა, დღეს ნელ-ნელა ლაპარაკი იწყება ამ ყველაფრის პატიებაზე.**

**ბოლო დღეებში, განსაკუთრებით უარყოფითი ტალღა წამოვიდა რესპუბლიკელების მიმართ. მიზეზი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის მიერ პრაღაში, რადიო „თავისუფლებისთვის“ მიცემული ინტერვიუ გახდა, რომლის მიხედვითაც „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა ქართული დემოკრატიის ამოცანაა“.**

**„მე განსაკუთრებით ევროპასა და ამერიკაში ყოფნის დროს ძალიან ხშირად მიწევს იმის თქმა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ყოფილი მმართველი ძალის გადარჩენა თუ პოლიტიკურ სპექტრში დარჩენა, ეს არის ქართული დემოკრატიის ამოცანა. რაც არ უნდა გამიბრაზდნენ ქართველი მსმენელები, რომლებიც თვლიან, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ გადასარჩენი კი არა, გასასამართლებელი და ასაკრძალია, მე ამას კიდევ ვიმეორებ და ყველას ვურჩევ, რომ კარგად დავუკვირდეთ, რაზეა საუბარი. ლაპარაკი იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კოლექტიურად დამნაშავე პოლიტიკური ძალაა ბოლო 9 წლის განმავლობაში ჩადენილი დანაშაულის გამო, ძალიან შორს წაგვიყვანს“, — განაცხადა უსუფაშვილმა.**




**აღდგა თუ არა სამართლიანობა საქართველოში, ამ თემაზე ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე გვესაუბრება.**

იხ. 6 გვ.

⊙ შუალედური არჩევნები

# „გამოკითხვების მიხედვით, ჩვენ მოგებული გვაქვს არჩევნები ნაძალადევის რაიონში“



***„თავისუფალი საქართველო“ შუალედურ არჩევნებში უმთავრეს ამოცანას ისახავს მიზნად — კოჰაბიტაციად წოდებული ფარსის დასრულებას: „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი უნდა გასამართლდეს და მისი ადგილი პარლამენტში კონსტრუქციულმა ოპოზიციამ — “თავისუფალმა საქართველომ“ დაიკავოს“, — ამ სურვილით წარადგინა შუალედურ არჩევნებში ნაძალადევის რაიონის მაჟორიტარობის კანდიდატად კახა კუკავა პარტია „თავისუფალი საქართველოს“ პოლიტსაბჭომ.***

***დღეს „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შეკითხვებს უპასუხებს:***

**— ბატონო კახა, ბიძინა ივანიშვილმა ევროპის საბჭოში აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ ჩვენი პოზიცია პრინციპული, მაგრამ კორექტული იქნებაო, — როგორ შეაფასებთ მის გამოსვლას, რატომ არ ახსენა ეთნოწმენდა და პუტინის პასუხისმგებლობა და როგორია თქვენი დამოკიდებულება რუსეთთან ურთიერთობის მიმართ?**

— სრულიად ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს. ესაა ზომიერი პოზიცია. ყველაფრის თქმა არ შეიძლება, საჭიროა იმდენის თქმა, რამდენსაც გავწევთ...

**— თქვენ როგორ წარმოგიდგენიათ რუსეთთან ურთიერთობა?**

— პირველ ეტაპზე კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა, შემდეგ მოლაპარაკებები ცხინვალთან და სოხუმთან. რაღაც ეტაპზე შესაძლოა, საქართველომ გადახედოს საკუთარ საგარეო კურსსაც.

**— რას გულისხმობთ?**

— საქართველომ დეოკუპაციის საფასურად შესაძლოა, გამოაცხადოს ნეიტრალიტეტი...

**— როგორ შეაფასებთ ნაციონალების მიტინგს? ერთნი ამბობენ, რომ ნაცმოძრაობა არის რეალური ოპოზიცია, მეორენი — ნაცმოძრაობას კვლავ დაბალი რეიტინგისა და ლეგიტიმაციის პოლიტიკურ ძალად მიიჩნევენ...**

— ნაცმო არის მეხუთე კოლონა, რომელიც ქვეყნის შიგნით არ არის პოპულარული, მაგრამ ინარჩუნებს ბევრ რესურსს და, გარედან სიგნალის შემთხვევაში, ბევრი რამის გაფუჭება შეუძლია...

**— კონკრეტულად?**

— მაგალითად დესტაბილიზაციის იმიტაცია, ისე, როგორც ამას აკეთებდა ოპოზიცია 1991 წელს გამსახურდიას წინააღმდეგ.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ ბოლო თვეების განმავლობაში მხოლოდ „თავისუფალ საქართველოს“ სურს, შეახსნოს და შეასრულებინოს „ქართულ ოცნებას“ თითქმის მივიწყებული წინასაარჩევნო დაპირებები, რომ ეს არის, პირველ ყოვლისა, სამართლიანობის აღდგენა... რა დაპირებებს გულისხმობთ?**

— სამართიანობის აღდგენას, დამნაშავეების დასჯას და უდანაშაულოთა რეაბილიტაციას, მათ შორის, ქონებრივ კომპენსაციას.

**— თქვენ აღნიშნეთ, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ ხართ ბრძოლის რეჟიმში... მიიღებთ სასურველ შედეგს ოცნებასთან ჯანსაღი ოპონირებით?**

— ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან ჩვენი მოკავშირე საზოგადოებრივი აზრი იქნება.

„ქართულ ოცნებასთან“ ოპონირების რეჟიმში ვართ. ჩვენი ამოცანაა ზოგ საკითხზე მათი ყურადღების მიქცევა, თუმცა, ეს არ არის ის რეჟიმი, რასაც სამკვდრო-სასიცოცხლო დამოკიდებულება ჰქვია, და რაც ნაციონალურ მოძრაობასთან გვქონდა. ეს არის კორექტული დამოკიდებულება, რაღაც საკითხებზე ოპონირებაც და რაღაც საკითხებზე მხარდაჭერაც.

**— როგორია თქვენი წინასაარჩევნო პროგრამა. როგორ აპირებთ ქართული ენის სიწმინდისთვის ბრძოლას?**

— ჩვენი პროგრამის პირველი პუნქტია: სამართლიანობის აღდგენა კოჰაბიტაციის ნაცვლად. დამნაშავეები უნდა დაისაჯონ, ესენი არიან ნაცმოძრაობის მაღალჩინოსნები, ვინც 9 წელი მართავდა ქვეყანას, და მხოლოდ ახალაია არ უნდა იყოს დაპატიმრებული. მას უნდა მიემატოს კიდევ ორი ახალაია, მერაბიშვილი, გივი თარგამაძე, სააკაშვილი...

პროგრამის მეორე ნაწილია კომერციული ბანკების წინაშე არსებული დავალიანებების რესტრუქტურიზაცია, საპენსიო ასაკის განსაზღვრა, ქალბატონების — 55 წლით, მამაკაცების — 60 წლით.

ამის გარდა, ჩვენ გვინდა, რომ კანონით აიკრძალოს უცხოელების მიერ მიწის შესყიდვის შესაძლებლობა და, აგრეთვე, შეიზღუდოს იმიგრაცია აზიის სხვადასხვა ქვეყნიდან.

ეს არის ჩვენი პარტიის ძირითადი პარამეტრები, თუმცა, არის კონკრეტულად ნაძალადევისთვის დამახასიათებელი საკითხებიც.

რაც შეეხება ქართული ენის სიწმინდის საკითხს, ალბათ ნახეთ „სოკარის“ ბილბორდი, რამდენიმე დღის წინათ პირადად შევღებეთ... ჩვენი აზრით, კანონით უნდა იყოს მოგვარებული ის, რომ რეკლამები — ორენოვანი — ქართულ-ინგლისური, ანდა მხოლოდ ქართული იყოს. ახლა კი მხოლოდ ინგლისურენოვანი რეკლამებია. უნდა აიკრძალოს ცენტრალურ არხებზე ინგლისურენოვანი ფილმებიც.

აგრეთვე, მხარს დავუჭერთ ახალი ტერმინების ლექსიკონის გამოცემას. ქართულ ენაში უამრავი ახალი სიტყვა შემოვიდა და ამ საქმეს სახელმწიფო მხარდაჭერა სჭირდება.

**— სამწუხაროდ, უცხოელები ისევ ყიდულობენ მიწებს... სოფლის მეურნეობის მინისტრმა ახლახან ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ ამისთვის საჭიროა კონსტიტუციაში ცვლილებაო...**

— კონსტიტუციაში ცვლილება ამას არ სჭირდება. კანონის დონეზე შეიძლება საკითხის მოგვარება — კანონში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ უნდა ჩაიწეროს, რომ უცხოეთის მოქალაქე არ შეიძლება იყოს ქართული მიწის მესაკუთრე.

**— და თუ ასე მარტივია ამ საკითხის მოგვარება, რატომ არ აკეთებენ?**

— როგორც ჩანს, რაღაც ვალდებულებები აქვთ აღებული უცხოური სახელმწიფოების წინაშე. ვგულისხმობ რესპუბლიკურ პარტიას და თავისუფალ დემოკრატებს. ამიტომ პარლამენტში უნდა არსებობდეს ისეთი ძალა, რომელსაც არ ექნება ეს ვალდებულებები აღებული, და რომელიც ამ საკითხებს ოფიციალურად დაუპირისპირდება... და არა ისე, მიწების გასხვისების თაობაზე კირვალიძე რომ იძლევა გაუგებარ კომენტარებს.

**— რომელია ეს ძალა?**

— ასეთ ძალად ქართულ პოლიტიკაში „თავისუფალი საქართველო“ მიმაჩნია.

**— შუალედურ არჩევნებში მაჟორიტარობის კანდიდატებიდან ვინ მიგაჩნიათ რეალურ კონკურენტად?**

— ქალბატონი თამარ კორძაია რეალური კონკურენტია, მისი კანდიდატურა „ქართულმა ოცნებამ“ დააყენა და ძალიან დიდი პარტიული მხარდაჭერა ექნება.

**— როგორ ფიქრობთ, რატომ არ მობრძანდა იგი ნინო შუბლაძის პოლიტიკურ თოქ-შოუ „პოზიციაში“?**

— ეს არის მისი პრესსამსახურის გადაწყვეტილება, რომელსაც კოკა ყანდიაშვილი ხელმძღვანელობს.

**— თუ გაქვთ გამარჯვების იმედი?**

— გამოკითხვების მიხედვით, ჩვენ მოგებული გვაქვს არჩევნები ნაძალადევის რაიონში. ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე... „ოცნებამ“ ორგანიზებით — ყვითელი ავტობუსებით არ გვაჯობოს არჩევნებში.

ესაუბრა

**თამარ შაიშმელაშვილი**

**მინაწერი: ბევრის გასაკვირად, ეს ინტერვიუ ბატონმა კახა კუკავამ „რუსთავი-2“-ის ეთერიდან დაბრუნების შემდეგ, ღამის 2 საათზე ჩამაწერინა. ახლა თავად განსაჯეთ მისი დამოკიდებულება ჟურნალისტების მიმართ, რაც, სამწუხაროდ, ზოგიერთ პოლიტიკოსს (ტელეფონს სისტემატურად რომ არ პასუხობენ) მაგალითად გამოადგება.**

**თ. შ.**

⊙ ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

**● ჩიორას რახან შერცხვა, ზნაჩიტ მაგრად გამოსულა ბიძინა.**

**● რამდენს ბედავენ ეს გამომცემლები? დაკონკრეტდნენ სად დაირღვა მათი უფლებები? ველარ ამოიყორეს რა სტომაქები! რას ჰქვია — პროტესტის ნიშნად წიგნის მაღაზიები დაიკეტება?! თქვენ, თქვენ გემოზე დაკეტეთ და გააღეთ საკუთარი „კუხნის“ ფანჯრები.**

**● ქვე-ყანაში ამოქმედდა აგროსესხის პროექტი — „მა მიტუას რაღა“.**

**● აღმაშფოთებელია მართლაც ის პოლიტიკა, რასაც კოჰაბიტაცია ჰქვია... არ მესმის კოჰაბიტაცია ეშმაკთან... ნაცმოძრაობა არის დამნაშავეთა ბანდა, რომლის მსგავსი ბანდებიც ისჯება ევროპასა თუ ამერიკაში! ისინი უნდა დაისაჯონ. თუ არ დაისჯებიან როგორც ედუარდ შევარდნაძე არ დაისაჯა, ეს გამოიწვევს სირთულეებს ჩვენს ქვეყანაში! დაუსჯელობის სინდრომი ღუპავს ერს! ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს!!! როგორ უნდა ჰქონდეს ვანო მერაბიშვილს იმის უფლება რომ „ხალხს“ რამე მოუწოდოს!!! უნდა შექმნას პრეცედენტი, რომ დამნაშავე დაისაჯა! ეს თუ არ მოხდა, ადამიანის ბუნება ისეთია, მით უმეტეს საქართველოში, რომ არ არის გამორიცხული იგივე ან უარესი განმეორდეს რაც ნაც-რეჟიმის დროს იყო! დროული პრევენციაა საჭირო!!! სამართლიანობა უნდა აღდგეს!!! რეჟიმი უნდა გასამართლდეს!!! უფალი შეგვეწიოს ბოროტთან ბრძოლაში!!!**



**● გადავირიე, ამდენი დისტროფიკი რა ამბავია? მართლა მშივრები ხართ, გოგონებო, თუ ჭიები გყავთ მუცელში და ამიტომ ვერ იმატებთ წონაში? თუ რა ხდება, ერთი გამაგებინეთ! ხელის მოსაკიდებელი ადგილი სადღაც ხომ მაინც უნდა გქონდეთ, არა?!**

**● რა კაცი იყო დარვინი, როგორ დაასკვნა, რომ მაიმუნისაგან მაზმანიანი დადგებოდა...**

**● წინა ხელისუფლებამ იზრუნა პროკურორების, პოლიციელების, მებაჟეების, ჩინოვნიკების მაღალ მატერიალურ ანაზღაურებაზე. ეს გასაგებია! ექიმები გამორჩათ... სამაგიეროდ ექიმები ხალხის მტრებად გამოაცხადა და ყველა უბედურების საწყისად (რაც კი ქვეყანაში ხდებოდა, ექიმები დაადანაშაულა! უფრო მეტიც, დაშალეს მთლიანად ჯანდაცვა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, კანონის სრული იგნორირებით! მეგონა ახლა მაინც იზრუნებდნენ იმ ადამიანებზე, ვინაც ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას იცავს! ხელისუფლება ყველას ბოდიშის მოხდით ესაუბრება... ექიმების გარდა და ავიწყდება, რომ ექიმიც ისეთივე მოქალაქეა, როგორც სხვები!**

**● ვარ მოწოდებით ექიმი! არა ვარ დამოკიდებული ამ მათხოვრულ გროშებზე, რასაც სახელმწიფო იმეტებს ჩვენთვის, თუმცა, პროტესტის გრძნობა მიჩნდება, რადგან არც იმ ასაკის ვარ და არც იმ პოტენციალის ექიმი, რომ სხვაზე ვიყო დამოკიდებული. და, კიდევ, შორსა ვარ იმ ილუზიისგან, რომ ყველაფერი მყისვე დალაგდებოდა და ქვეყანა აშენდებოდა, მაგრამ ხელისუფლების რაღაც სურვილი (თუნდაც მცირე ) ხომ მაინც უნდა იკვეთებოდეს? მე ვხედავ ჩემი კოლეგების პროტესტს და არ შემეძლო ეს არ მეთქვა!**

**● იმედს ვიტოვებ, რომ ვიღაც მაინც წაიკითხავს და მცირე ანალიზს გაუკეთებს არსებულ ვითარებას.**

**გია გაბრიჭიძე**

⊙ ინფორმაცია



## ბარნოვი ჩხეიძემ შეცვალა

**შიდა ქართლს ახალი გუბერნატორი ჰყავს. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ახლადდანიშნულმა უფროსმა ანდრო ბარნოვმა გუბერნატორის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ახალი გუბერნატორი - ზურაბ ჩხეიძე წარუდგინა.**

**ბარნოვის განცხადებით, იგი დარწმუნებულია, რომ ჩხეიძე თავს კარგად გაართმევს დაკისრებულ მოვალეობას და იმ კურსს გააგრძელებს, რომელიც რეგიონში ანდრო ბარნოვის გუბერნატორობის დროს ხორციელდებოდა.**

**ზურაბ ჩხეიძე 38 წლისაა. იგი სხვადასხვა დროს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებში, შემდგომ კი საჯარო სამსახურებში მუშაობდა.**

**ზურაბ ჩხეიძეს ბოლო სამი წლის განმავლობაში შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილის პოსტი ეკავა.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# სადამდე უნდა ატაროს ქვეყანამ მძიმე ტვირთი?

## რატომ მოხდა აგრესია, რატომ გადმოლახა რუსეთის ჯარმა საქართველოს საზღვარი?



**2013 წლის 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ქვეყნის საგარეო კონცეფციას. წინა – 2008 წელს იყო მიღებული. რუსი ექსპერტების მიხედვით, ეს კონცეფცია არის მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს კონცეფცია, რომელიც მიმართულია ქვეყნის შიდა განვითარებისკენ, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, საბაზრო ეკონომიკისკენ. კონცეფციამ ხელი უნდა შეუწყოს სასარგებლო საგარეო პირობების ჩამოყალიბებას ქვეყნის შიდა განვითარების უზრუნველყოფისთვის.**

**კონცეფციის მიზანია, მსოფლიოში რუსეთისთვის, როგორც თანამედროვე გავლენიანი ცენტრისთვის მყარი პოზიციების მოპოვება – არა დომინირებით, სხვისთვის საკუთარი სურვილების თავსმოხვევით, არამედ საკუთარი მომხიბვლელობით, თანამშრომლობით, თანაფარდობის პრინციპზე დაფუძნებით, სხვის საქმეში ჩაურევლობით. კონცეფციაში არც ერთი სახელმწიფო არ არის განხილული მტრობის და არაკეთილი სურვილების პრიზმიდან. არც ერთი სახელმწიფო არ არის მოხსენიებული რუსეთის მტრად.**

კონცეფცია გარკვეულ იმედს ბადებს საქართველოს პრობლემების გადაჭრისათვის, ამასთანავე, გვახსენებს, რომ პრობლემები სიღრმისეულია და მას სხვაგვარი მიდგომა ესაჭიროება. სხვაგვარ მიდგომაში, უპირველესად, სხვაგვარი აზროვნება იგულისხმება და, რაც მთავარია, სხვაგვარი რიტორიკა, თავშეკავება, რეალური განსჯა.

საქართველოს მხრიდან წარმოებულმა დღემდე არსებულმა პოლიტიკამ კრახი განიცადა, ქვეყანა გაუსაძლის პირობებში ჩააყენა. იქნებ გვეცადა სხვა? იქნებ სხვა გზა აგვერჩია? იქნებ რეალურად შეგვეფასებინა განვლილი 23 წელი – დასავლური ცრუ დაპირებებით აღსავსე და პრაგმატული პოზიცია აგვერჩია?

კონცეფციაში მოხსენიებულ ქვეყნებს შორის საქართველოცაა – მასთან თანამშრომლობის სურვილით იმ სფეროებში, რომლებშიც საქართველო არის მზად და იმის გათვალისწინებით, რა რეალობაცაა დღევანდელ კავკასიაში. ამ ჩანაწერის მიხედვით, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა ურყევია.

**ურყევია საქართველოს პოზიციაც – საქართველოს პარლამენტის ანალოგიურ დოკუმენტში დაფიქსირებული. უფრო მეტიც, დოკუმენტის მიხედვით, საქართველოს არავითარი პოლიტიკური ურთიერთობა არ ექნება რუსეთთან, ვიდრე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის საელჩოები და სამხედროები იქნებიან. საქართველოს პოზიცია ერთობ ხისტია და წინასწარ განწირული მარცხისთვის. მარცხი კი არსებულ ვითარებასთან შეგუებაა. არდალაპარაკება, ზემოთ მოყვანილი პირობების დაკმაყოფილებამდე, უფრო შეგუებაა, ვიდრე საკითხის საქართველოს სასარგებლოდ გადაჭრა.**

პარლამენტის, ქართული პოლიტიკის შემყურეს, უმალ დაებადება აზრი, რომ ქართულ მხარეს მოლაპარაკების სურვილი არ აქვს, რომ მან არ იცის, როგორ ილაპარაკოს, რომ მას ეშინია რუსეთთან ლაპარაკის, ამიტომაც გამუდმებით ახსენებს ჟენევის ფორმატს, სადაც ქართველი და რუსი სხვისი (მესამე მხარის) თანდასწრებით ლაპარაკობენ.

როგორც ჩანს, ქართულ მხარეს ნაკლები არგუმენტები აქვს რუსეთისთვის მომზადებული (ან აქვს კი?) საქართველოს ხელისუფლებას, როგორც წინას, ისე დღევანდელს, მხოლოდ ერთი სურვილი აქვს - სხვამ, ამ შემთხვევაში დასავლეთმა, მოუგვაროს საქმე, მაგრამ ეს რომ ასე არ ხდება.

კონცეფციის მიხედვით, რუსეთი ისეთი სახელმწიფო უნდა გახდეს, ვინც საერთაშორისო ურთიერთობებს „სოფტ პაუერით“ (რბილი ძალით) მოაგვარებს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან უნიკალური სარესურსო პოტენციალი აქვს. რუსეთი მსოფლიო საგანძურია, უშუალო სიახლოვეს ისეთ მზარდ ეკონომიკებთან, როგორებიცაა ჩინეთი და ინდოეთი, უდიდეს ბაზრებთან, იმათთან, ვისაც წყალივით სჭირდებათ წიაღისეული სიმდიდრეები.

რუსეთი მდიდარია ნავთობით, ოქროთი, გაზით, ხეტყით, წყლით, ინტელექტუალური პოტენციალით. ცნობისთვის – ორას ათასზე მეტი რუსი მეცნიერი ამდიდრებს ამერიკულ მეცნიერებას. რუსეთთან კონსტრუქციული ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებას ცდილობს ყველა, მათ შორის ისეთებიც, ვინც დროს არ კარგავენ რუსეთის სალანძღად.

ჩვენ რაღა დაგვემართა? მეზობელს არაფრად ვაგდებთ და ცხრა მთასა და ზღვის იქით ვცდილობთ ახლობლის მოძებნას. არადა, ახალი „ახლობელი“ თავისი აზროვნებით რომ შორსაა ჩვენი აზროვნებიდან, გაგონება არ გვინდა. არც იმის გაგონება გვინდა, იქაური პრაგმატიზმი რომ დღევანდელი საქართველოსთვის შეუფერებელია.

იქ არსებული აზროვნების ქართულ ტვინებზე მორგებას თაობები დასჭირდება. საბოლოო ჯამში კი მივიღებთ ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე ქართველს – დაკარგული ეროვნულობით, თვითმყოფადობით, გადაგვარებული აზროვნებით. ბევრი ასეთი „ქართველია“ ამერიკაში, თურქეთში, სხვაგან.

რუსეთში მცხოვრებ ქართველს სხვა იერსახე აქვს, რაშიც მეორე სამშობლოს, ანუ რუსეთის წვლილიც არის. „გრუზინი“ მაინც გამორჩეულია. მის მიმართ სხვაგვარი დამოკიდებულებაა, მრავალსაუკუნოვანი ისტორიით განმტკიცებული, ნათესაური კავშირებით გამაგრებული, რელიგიური ერთობით გაღრმავებული. „გრუზინი“, მიუხედავად პოლიტიკური პროცესებისა, დღესაც ისე აღიქმება, როგორც გუშინ – თავისებური, ვაჟკაცური, გამორჩეული.

მიუხედავად ოცწლიანი გაუცხოებისა, ორი ქვეყნის პოლიტიკოსთა, განსაკუთრებით საქართველოს, მცდელობისა, ვერ მოხერხდა ქართველისა და რუსის ერთმანეთზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება, ვერ მოხერხდა ორ ერს შორის საყოველთაო სიძულვილის გაღვივება. ნაციონალური ხელისუფლების მცდელობამ ვერ გამოიღო ის შედეგი, რომელსაც ნაცები ელოდნენ და არა მარტო ისინი, არამედ მათი ოკეანისგადაღმელი პარტნიორები.

საქართველოს მოსახლეობას შემორჩა რუსეთის ნოსტალგია. არსად სხვაგან „გრუზინზე“ ისეთი ნოსტალგია არ არის, როგორც რუსეთში. არსად სხვაგან არ იხსენებენ ქართულ ღვინოს და „ბორჯომს“, როგორც რუსეთში. და ეს გახსენება არ არის გამოწვეული ღვინის ან მინერალური წყლის მონატრებით, ის ქართველის, საქართველოს მონატრებითაა გამოწვეული - ქართული ხელოვნების, ქართული მწერლობის, თუნდაც ქართველი სტალინის და ბერიას (ცნობისთვის, ლივადა ცენტრის მიერ ჩატარებული საყოველთაო გამოკითხვის მიხედვით, სტალინის პოპულარობამ 47%-ს გადააჭარბა).

ღვინისა და „ბორჯომის“ ნოსტალგია კომპლექსშია საქართველოს ნოსტალგიასთან, თორემ საუკეთესო უცხოური პროდუქტით გაჯერებულ რუსულ ბაზარს, ფრანგულ-იტალიურ-ესპანურ ღვინოებითა და ფრანგული „ევიენითა“ და „პერიეთი“ აღსავსეს, რად უნდა ახსენდებოდეს ქართული პროდუქცია?

ღვინო პროდუქტია ვაზისა. ვაზი, ნახარები მიწისა, ქართული მიწისა. მინერალური წყალი – ქართული წიაღიდან ამოხეთქილი, იმ წიაღიდან, საქართველო რომ ჰქვია. ქართული მიწა უქართველოდ, უტრადიციოდ, ამერიკული ინგლისურით მოლაპარაკე, ყავარზე კუდგადებული, მეტიჩარა ქართველით, წარმოუდგენელია.

**ქართული ღვინო წარმოუდგენელია დაკოჟრილი ქართველი გლეხის ხელში მოქცეული თიხის ფიალის გარეშე, მამაპაპური სადღეგრძელოების, ქართული სუფრის დოვლათის, „მრავალჟამიეროს“, „ჩაკრულოს“, „კრიმანჭულის“ გარეშე. ეს იცის რუსმა. იცის და პატივს სცემს. იცის და ტანში საამო ჟრუანტელი უვლის გახსენებისას, ისე, როგორც კრემლის ყრილობათა სასახლეში, „ერისიონის“ მიერ ჩატარებული კონცერტების დროს.**

არც ერთ მეზობელს ისეთი განცდა არ აქვს საქართველოსა და ქართველისადმი, როგორც რუსეთს და რუსს. არც ერთ ჩვენს ახალ „მეგობარს“, სტრატეგიულ პარტნიორს არ აქვს ქართველისადმი რუსის მსგავსი განცდა, მით უმეტეს ნოსტალგია. არც ერთი ამერიკელი ან ევროპული „ფასეულობებით“ (მაინც რას ნიშნავს ეს ამოჩემებული „ფასეულობა“?) დახუნძლული ევროპელი თავში არ გაივლებს „სულიკოს“ ან „თბილისოს“ სიმღერას, ვინაიდან მათ არაფერი აკავშირებთ არც სიმღერასთან და არც ხალხთან. რაც მათ აკავშირებთ, „ახალი“ ქართველებისთვის გაცემული გრანტები და დახმარებებია – ნაწილის უკან დაბრუნებით.

**კლასის დამრიგებლისა და გონებაჩლუნგი მოსწავლის ურთიერთობას ჩამოჰგავს მათი ქართველთან ურთიერთობა – ჭარბი მენტორული ტონით, დამცინავი ღიმილით. მსგავსი ურთიერთობა არ იძლევა აღსაზრდელის კულტურის გამოვლენის და მისი ჯეროვნად შეფასების შანსს.**

გსმენიათ ამერიკელის ან ევროპელის მიერ ნამღერი „სულიკო“? რუსის – მსმენია. გსმენიათ ამერიკაში „ჯორჯენის“ შესახებ, ისე, როგორც რუსეთში „გრუზინის“? ცხადია, კარგი გაგებით. მავანი შემედავება, გვაცადეთ ბატონო, ჯერ ოცი წელი გავიდა. ერთი იმდენიც გავა და ამერიკელიც იმღერებს „სულიკოსო“. ამერიკელის რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველი რომ საკუთარ სიმღერას დაივიწყებს და ამერიკულად ამღერდება, ეჭვი არ მეპარება.

ამერიკელი არასდროს იმღერებს „სულიკოს“, ვინაიდან მას ქართველთან ერთად არ გაუვლია საუკუნეთა ქარტეხილები, არ უბრძოლია ფაშიზმის წინააღმდეგ, არ უშენებია დანგრეული სამშობლო, არ განუცდია შიმშილი, სიცივე, სიდუხჭირე.

მე არ შევხვედრივარ ამერიკელს, რომელსაც მექსიკური „კუკარაჩა“ ემღეროს, არადა, მეზობელი მექსიკა, თავისი მოსახლეობით, ათასჯერ და მეტად აღემატება საქართველოს. ამერიკელი არასდროს გაუყადრებს თავს მექსიკელს, მით უმეტეს ქართველს ან სხვა პოსტსაბჭოელს. ის ყოველთვის დარჩება ჩვენთვის და ჩვენისთანებისთვის მიუწვდომელ მწვერვალად.

დასავლეთს აქვს ინტერესი საქართველოსადმი, როგორც ტერიტორიისადმი, სატრანზიტო დერეფნისადმი, ირან-რუსეთზე ჯაშუშური დაკვირვებისა და კონფლიქტის შემთხვევაში პლაცდარმად გამოყენებისადმი. ქართველებისადმი ინტერესიც აქვს, როგორც ტექნიკური პერსონალისადმი – მძღოლის, მიმტანის, მეძავის, ფეხის გულების დამფხანისადმი. ეს ინტერესიც მარტივი მიზეზით არის განპირობებული – დასავლეთიდან ტექნიკური პერსონალის ჩამოყვანა ძვირი ჯდება. რა სჯობს, ადგილობრივ მუქთასა და იორღას.

სამყარო ისეა აწყობილი, მუდამ იქნება დიდსა და პატარა ქვეყნებს შორის დაპირისპირება, და არა მარტო დიდსა და პატარას, არამედ პატარასა და პატარას, დიდსა და დიდს შორის დიდის მიერ მეორე დიდის წინააღმდეგ პატარის გამოყენებას. საკუთარი გეგმების განხორციელებისთვის პატარების პრიალა საჩუქრებით მოხიბლვას.

ჭრელაჭრულა საჩუქრებით მოქრთამულმა საქართველომ თავი ისე დაკარგა, რომ ზომა-წონაც დაივიწყა და საუკუნეობრივ მეგობრობას უმალ ხაზი გადაუსვა. დიდი ურჩხულის იმედი ჰქონდა მას, ამიტომაც გაჰყვიროდა ვაჟკაცურად, ამიტომაც ეკვეთა მტერს პირველი – იმის მოიმედე, რომ ურჩხული მას მოჰყვებოდა, მაგრამ გადამთიელი მიხვდა, რომ მეორე ურჩხულთან შებმას, სიცოცხლის დასრულება მოჰყვებოდა. ამიტომ შედგა ურჩხული, მეორის მყისიერი პასუხით გაოგნებული. რაც მართალია, არ მოელოდა ამას. შედგა და... წაქეზებული პატარა ყვინჩილა, მეორე ურჩხულის ხელში გამომწყვდეული აღმოჩნდა.

ეს ამბავი „ქატო იქა, ფქვილი აქა“-ს ზღაპარივით დასრულდებოდა, რომ არა გადამთიელის მიერ მომზადებული მედიური ომის გეგმა. დამარცხებულ ყვინჩილას თავზე ხელიც გადაუსვა, ფულიც აჩუქა, ვაჟკაცობაც შეუქო, სასმელი წყლითა და ტუალეტის ქაღალდითაც მოამარაგა, „აქაოდა შიშმა კუჭის აშლა იცისო“. და რაც მთავარია, ისეთი PR-კამპანია გაახურა რუსული დათვისა და უმანკო ქართული კრავის შესახებ, რომ ავ თვალს არ ენახებოდა.

„კბილებამდე შეიარაღებულმა რუსეთმა დაარღვია მსოფლიოში არსებული ყველა კანონი, გადალახა რა მეზობელი პატარა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი იმიტომ, რომ საქართველოს ნატოში შესვლა სურსო“. ერთ ხმაში გაჰყვიროდნენ საქართველო და მისი დასავლელი მამობილები ამ ამბავს.

რუსეთის აგრესიის გამათრახებისა და საბოლოო გაშავების მიზნით ევროკავშირმა სასწრაფოდ შექმნა 2008 წლის ცხინვალის ომის საგამოძიებო კომისია ქალბატონ ტალიავინის მეთაურობით. მიზანი ერთი იყო – რუსულ გაზზე ჩამოკიდებული ევროპის რევანში, რუსეთის წელში გატეხვა, საბოლოო ჯამში ფასების დაკლება.

2008 წლის მოვლენების პირველსავე დღეებში ბრიუსელმა მოსკოვთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. უარი თქვა დაგეგმილ კონსულტაციაზე და ეს ყველაფერი წინასწარ, საკუთარი კომისიის გამოძიების დამთავრებამდე. ეს ნაბიჯი თავისებური მინიშნება იყო კომისიისთვის, რა გზით ევლო.

დიდი თავის მტრევა დასჭირდა კომისიას მოსკოვის დასადანაშაულებლად, მაგრამ ფაქტს გვერდი ვერ აუარა. ფაქტი კი ასეთი იყო – პირველი საქართველომ გაისროლა, არა ფილთა თოფი, არამედ „გრადი“ მძინარე ცხინვალზე. „გრადს“ სატანკო შეტევა მოჰყვა და ცხინვალის აღება. ის-ის იყო სააკაშვილი, თბილისიდან წაღებულ ტრიბუნაზე გამარჯვების აღსანიშნავად სიტყვისთვის უნდა ასულიყო, რომ რუსეთის მხრიდან დაგვიანებული კონტრშეტევა განხორციელდა. რუსული საზოგადოება დაგვიანებაში მაშინდელ პრეზიდენტ მედვედევს დებს ბრალს.

ტალიავინის დასკვნის დანარჩენი ნაწილი ისეა ჩამოყალიბებული, რომ მტყუან-მართლის გარჩევა ჭირს. თითქოს ომამდე არსებულმა რუსულმა პროვოკაციებმა აიძულეს საქართველო გადაედგა ასეთი ნაბიჯი.

2008 წლის ცხინვალის ომის რეანიმაციამ გაახელა გუშინდელი ხელისუფლება და პრეზიდენტი. არ ცხრება მათი მხრიდან ხელისუფლების გაკილვა, თან იმის ხსენებაც, რომ იმჟამინდელის გახსენება, თანაც ხელისუფლების ინტერპრეტაციით დააზიანებს საქართველოს სახელს, საბოლოოდ დაუსვამს წერტილს ყოველივე სასიკეთოს, რაც დასავლეთიდან მოდის და ა.შ.

გუშინდელთა ყბადაღებულმა, ანტისახელისუფლებო ყაყანმა იმოქმედა ხელისუფლებაზე, რომელიც აცხადებს, რომ გამოძიება მხოლოდ და მხოლოდ რიგი საკითხების დასაზუსტებლად უნდა ჩატარდეს და არა საქართველოს საზიანოდ, რომ რუსეთის აგრესიას ვერაფერი გაამართლებს და მასთან ერთად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას.

**არავინ სვამს კითხვას – რატომ მოხდა აგრესია, რატომ გადმოლახა რუსეთის ჯარმა საქართველოს საზღვარი, რატომ აღიარა საქართველოს ყოფილი ავტონომიების დამოუკიდებლობა რუსეთმა. უპირველესად, ეს კითხვები უნდა დაისვას და არა ის, რაც დღეს ისმება. რამ გამოიწვია რუსეთის აგრესია დსთ-ს სივრციდან მხოლოდ საქართველოში? ამ კითხვებს არც საქართველოში და არც დასავლეთში არ სვამენ – არ აწყობთ და იმიტომ.**

ომის დამთავრებიდან თითქმის ერთი წლის განმავლობაში ტენდენციური დასავლური მედია ზედმიწევნით წარმატებით უხვრიტავდა თავს მსოფლიოს, ბნელი და აგრესორი რუსეთის მიერ საქართველოს „გაუპატიურებაზე“, მაგრამ შემდეგ სიმართლე ვეღარ დაიმალა. არაერთი მეცნიერის, პუბლიცისტის, მწერლის, პოლიტოლოგის ნაშრომი, წიგნი, სტატია მიეძღვნა ამ თემას. მათ შორის აღსანიშნავია ებრაელი პუბლიცისტის ლევ გუნინის ნაშრომი – ფაქტებზე დაფუძნებული, 2008 წლის ომამდე, ომისდროინდელი და ომის შემდგომი პერიოდის ფოტოგრაფიული სიზუსტით აღბეჭდილი.

„ორი წლის მანძილზე საქართველო ინტენსიურად აგროვებდა იარაღს, ტანკებს, ვერტმფრენებს უკრაინიდან და დასავლეთიდან. ამერიკელი და ებრაელი მრჩევლები წვრთნიდნენ ქართულ ჯარს. რუსეთი აფრთხილებდა საქართველოს და აშშ-ს, თავი დაენებებინათ სამხრეთ ოსეთის ავანტიურისთვის. ისრაელი და აშშ-ი ღრმად ჩაერთვნენ კონფლიქტში და სრულიად უჭერდნენ მხარს საქართველოს ბრუტალურ დიქტატურას“, – წერს გუნინი ნაშრომში: „კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი“.

თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ბარამიძემ ბრძანა – ბოლოს და ბოლოს, სამხრეთ ოსეთი საქართველოს ტერიტორია იყო და იქ შესვლა სულაც არ ნიშნავდა აგრესიასო. მთავრობა, რომელიც თავისი ქვეყნის ტერიტორიის დასამორჩილებლად მძიმე სამხედრო ტექნიკას იყენებს და ომს აჩაღებს – საერთაშორისო სამართლის მიხედვით უმკაცრესად ისჯება.

გარდა ამისა, არსებობდა ხელშეკრულება და მისი მიხედვით, სამხრეთ ოსეთის სიმშვიდე გარანტირებული უნდა ყოფილიყო როგორც ქართველი, ისე რუსი მშვიდობის მყოფელებით. რეგიონის უსაფრთხოების საქმეში ეუთოც იყო ჩართული. სააკაშვილმა ყოველივე ამას ხაზი გადაუსვა და „გრადის“ წვიმა დააყარა ცხინვალს.

მაგრამ ვითომ მარტო სააკაშვილმა გადადგა აგრესიული ნაბიჯი? ცხადია – არა! ამ საქმეში უდიდესი წვლილი დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს მიუძღვის. ნაცები და სხვებიც მტკიცედ ამბობენ – გამოიძიეთ! თუ ვინმე დაზარალდება – საქართველოაო. მათი განცხადებით, ისე გამოდის – სიმართლის დადგენის შემთხვევაში (არადა, ეს სიმართლე კარგა ხანია დადგენილია) დასავლეთი საქართველოსკენ აღარ გამოიხედავს.

**ცდებით, ბატონებო, დასავლეთმა ისედაც კარგად იცის, ვინ არის დამნაშავე და მიუხედავად ამისა, აქეთკენაც იყურება და ფულსაც იძლევა, რაც საკუთარი დანაშაულის თუ „შეცდომის“ კომპენსაციაა.**

**გამოძიებით რუსეთს მოეხსნება აგრესორის დამღაო, აცხადებენ ნაცები. აგრესორის დამღას რუსეთს არავინ მოუხსნის, ვინაიდან ასეთი რუსეთი ხელს აძლევს დასავლეთს. და კიდევ ერთი რამ, არანაკლებ მნიშვნელოვანი – დანაშაულის არაღიარება და სხვაზე აკიდება, როგორ ჯდება ქრისტიანულ, მართლმადიდებლურ სულისკვეთებაში? რამდენი წელი უნდა ატაროს ქართველობამ ესოდენ მძიმე ტყუილის ტვირთი? განა უმჯობესი არ არის დანაშაულის აღიარება, საკუთარი ხალხისა და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოხდა, შენდობის თხოვნა?**



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◉ როდის აღდგება სამართლიანობა?



# რატომ ზრუნავს უსუფაშვილი ნაციონალების გაცოცხლებაზე?

(მესამე გვერდიდან)

**— ქალბატონო ხათუნა, ბოლო პერიოდში ხელისუფლებისგან მომრავლდა გზავნილები, რომ სამართლიანობა უკვე აღდგენილია, რადგან საზოგადოებაში გაქრა შიში, ხოლო „ნაციონალური მოძრაობის“ გადარჩენა, ქართული დემოკრატიის მთავარი ამოცანაა...**

— ფაქტია, რომ უკვე რამდენიმე თვე გავიდა და სამართლიანობის აღდგენას აქვს მხოლოდ ფასადური სახე. ვგულისხმობ, ჩადენილ დანაშაულებზე ყოფილი ხელისუფლებისთვის პასუხის მოთხოვნას. სხვა თვალსაზრისით, მედიისა და სიტყვის თავისუფლების, იგივე პროკურატურაში მიმდინარე პროცესების თვალსაზრისით, როდესაც უსამართლოდ დევნის ფაქტები მინიმუმამდე დავიდა, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ფასადურია სამართლიანობის აღდგენის პროცესი.

წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ ქმედებებს რაც შეეხება, როგორც ვთქვი, ამ ნაწილში მხოლოდ ფასადური სახე აქვს და მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რაზეც არაერთხელ გვისაუბრია, რომ 1 ოქტომბერს დასავლეთმა დაამთავრა ერთი პროექტი, „დემოკრატიის შუქურა“ და დაიწყო მეორე — „კოჰაბიტაციის“ სახელწოდებით, რისი პირობა და ნიშანიც არის ის, რომ წინა ისტორიებისგან განსხვავებით, პოლიტიკური ძალა, რომელმაც დაკარგა ძალაუფლება, სამუდამოდ არ წავიდეს პოლიტიკიდან და დარჩეს რაღაც დოზით. მით უმეტეს, რომ ეს არის, როგორც თავად უწოდებენ საკუთარ თავს, „პროდასავლური“ ძალა, რომელშიც ჩაიყარა ასეულობით მილიონი.

თუმცა, შედეგად დასავლეთმა მიიღო ამ „პროდასავლური“ ძალის კატასტროფული მარცხი არჩევნებში. ამიტომ, ისიც საკითხავია, რამდენად სწორად აარჩია დასავლეთმა ადრესატი.

**— გამოდის, რომ დასავლეთის მოთხოვნას კოჰაბიტაციის თაობაზე ვერ გავექცევით, შედეგად კი ვიღებთ იმ გაურკვეველ სიტუაციას, რასაც დღეს ვხედავთ...**

— როდესაც პატივცემული პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ მისი და ქართული დემოკრატიის ძირითადი ფუნქცია, თურმე, „ნაციონალური მოძრაობის“ შენარჩუნებაა, იმისათვის, რომ ხვალ ისევ შეექმნას პოლიტიკაში მოსვლის საფუძველი, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ვურჩევდი უსუფაშვილს, ფსევდოდემოკრატიას ნუ გადააყოლებს ქართულ სახელმწიფოს. თვითონ ნებისმიერ დროს კარგად იგრძნობს თავს და ჰკითხოს აზრი საქართველოს მოსახლეობასაც, რომელიც ასე იჩაგრებოდა 9 წლის განმავლობაში....

**— როდესაც სააკაშვილი ამბობდა იმას, რაც დასავლეთს მოსწონდა, მისი მხარდაჭერითაც სარგებლობდა და ბევრი რამ ეპატიებოდა კიდეც... ალბათ, უსუფაშვილიც მას ბაძავს...**

— კი, მაგრამ რაც აპატია ევროპამ, ის არ აპატია საკუთარმა ხალხმა და იმედია, უსუფაშვილი ამას მაინც გაითვალისწინებს. ევროპა და საკუთარი ხალხი, სამწუხაროდ, ერთი და იგივე არ არის. ჩვენ არ ვართ ჯერ ევროკავშირის წევრი და გარდა დასავლური ღირებულებებისა, ევროპას სხვა მიზნებიც ამოძრავებს საქართველოში, რაც სრულიად გასაგებია საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტიდან გამომდინარე.

**— გარდა იმისა, რომ ევროპასთან თანამშრომლობას ესწრაფვოდე, რაღაცა დოზით ხომ უნდა გაითვალისწინო საკუთარი ხალხის ინტერესი, ვის შენარჩუნებას გეგმავ პოლიტიკაში — საკუთარი ხალხის ჯალათი რომ იყო იმ ხელისუფლების? ამისთვის აირჩია დავით უსუფაშვილი ხალხმა პარლამენტში?!**

— უსუფაშვილი არც აურჩევიათ და ყველა მანდატი პარლამენტში ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის პერსონალურად. გამოვიდეს რომელიმე დეპუტატი და თქვას, რომ მან მოიგო არჩევნები. იმისთვის მისცა მანდატი ხალხმა ივანიშვილს, რომ უსუფაშვილს ნაციონალების რეინკარნაციაზე ეზრუნა?!

**— სხვათა შორის, ერთ-ერთ გამოსვლაში ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა, რომ სამართლიანობა აღდგა, ხალხს ჩუმად აღარ უსმენენ და აშანტაჟებენ, პოლიტიკური დევნა და დაშინებაც წარსულს ჩაბარდა...**

— სამართლიანობას უამრავი ასპექტი აქვს, რაიმე სახით ადამიანის დემოკრატიული უფლება თუ მოუგონია ევროპას ოდესმე, დღეს ყველაფერია წარმოდგენილი საქართველოში და ამ კუთხით მართლაც აღდგენილია სამართლიანობა, მაგრამ დანაშაულისთვის ადამიანმა პასუხი რომ უნდა აგოს, ესეც სამართლიანობის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა და ასევე ევროპული ღირებულებების.

**— წართმეული ქონება და ბიზნესები უკან არავის დაბრუნებია, მთელი შემოსავლები, რაც ამ კომპანიებიდან მიდიოდა ნაცმოძრაობაში, ისევ ამ პარტიის რესურსების გაძლიერებას ემსახურება, ამ თვალსაზრისითაც სერიოზული პრობლემა უნდა იყოს გადასაჭრელი...**

— თუ არ გამოიკვლიე მათი დანაშაულები და არ დაამტკიცე, რომ ქონება წართმეულია და თან დანაშაულებრივად, რანაირად აღადგენ ამას? ქონების რეალური პატრონის დადგენის საკითხი ხომ გამოძიების საგანია?! თუ არ გამოიძიეს, მისი დაბრუნება შეუძლებელია. ამ კუთხით გამოძიება არ ხდება აქტიურად და სამართლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, ესეც ძალიან დიდი მინუსია.

**— როგორ ფიქრობთ, საამისო პოლიტიკური ნება არ არსებობს, ძნელი და რთული პროცესია თუ რატომ არის, რომ ამ ნაწილშიც ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი რჩება?**

— როგორც ჩანს, პოლიტიკური გადაწყვეტილებაა მისაღები, რეალური გამოძიებები უნდა დაიწყოს „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულებისა. წინააღმდეგ შემთხვევში, არანაირი ქონების დაბრუნებაზე ლაპარაკი არ იქნება, რადგან კონტექსტიდან ამოგლეჯით ქონების დაბრუნება ვერ მოხდება.

არ ვიცი, როგორ აწვდიან ინფორმაციას ევროპას. აიღონ ეს ამდენი განცხადება, აჩვენონ ევროპელებს და ჰკითხონ, მათ ქვეყანაში ამდენი ადამიანი რომ აცხადებდეს, ქონება უკანონოდ წამართვესო, როგორ მოიქცეოდნენ? იგივე ევროპელ მოსახლეობას ჰკითხონ, ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცეოდნენ.

**— თუ პროცესი, რასაც ხალხი სამართლიანობის აღდგენას უწოდებს, შეფერხდა, რა მოხდება?**

— თუ მოსახლეობა უკმაყოფილო დარჩა სამართლიანობის აღდგენის პროცესით, რადიკალურ ძალებს გაუხსნის გზას პოლიტიკურ არენაზე.

**— შეიცვლება თუ არა განწყობა კოალიციის მიმართ, განცხადებებიდან გამომდინარე, დღეს მთავარ „კოჰაბიტაციონერებად“ რესპუბლიკელებს მოიაზრებენ, გავრცელდება თუ არა ნაციონალების მიმართ საზოგადოებაში არსებული განწყობა მათზეც და ზოგადად, ასეთი საფრთხე დაუდგება თუ არა კოალიციას?**

— არ ვიცი, ხელოვნურად თუ ბუნებრივად, ბოლო პერიოდში სოციალურ სივრცეში ისედაც ცდილობენ რესპუბლიკელებისა და ნაციონალების გაიგივებას. თუმცა, ნამდვილად არ ვიცი, ეს კოჰაბიტაცია მათი (რესპუბლიკელების) სურვილია თუ არა.

მეორე მხრივ, ზოგადად „რესპუბლიკური პარტია“ ერთი გამონაკლისის გარდა (როცა ბარიერი არ არსებობდა), ვერასდროს ვერ მოხვდა პარლამენტში, ამ თვალსაზრისით, ეს გააუმჯობესებს მის რეიტინგს თუ არა, აზრი არ აქვს. თუმცა, ამას უსუფაშვილზე ვერ ვიტყვი, რომლის რეიტინგმაც საგრძნობლად აიწია, რაც პარლამენტის თავმჯდომარე გახდა.

მსგავსი განცხადებები, შესაძლოა, მას ევროპაში წონას მატებდეს, მაგრამ საკუთარ საზოგადოებაში დაემართება იგივე, რაც დაემართა „ნაციონალურ მოძრაობას“, რასაც ნამდვილად არ ვისურვებდი, რადგან, თუ ვინმე ღირსეულად წარმოჩინდა ახალ ხელისუფლებაში, ერთ-ერთი პარლამენტის თავმჯდომარეა.

**ლალი ზირაქიშვილი**

## ◉ საკანონმდებლო ინიციატივა

# დამოუკიდებელი რეგულატორი: ეფექტიანი განვითარების გზა

**ფასიანი ქაღალდები თავისუფალ, იდეოლოგიური ჩარჩოებისგან დამოუკიდებელ ეკონომიკურ ურთიერთობათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, მათი ბაზრის განვითარება კი ფინანსების ყველა სფეროს თანაბარი განვითარების საშუალებას იძლევა.**

სწორედ ამის გამოა, როგორც ჩანს, რომ საქართველოს პარლამენტი ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯების გადადგმას გეგმავს. კერძოდ, პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, საქართველოში ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია შეიქმნება. კანონპროექტის ავტორი და პარლამენტის რეგლამენტში საკანონმდებლო ცვლილებათა შეტანის ინიციატორია საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი დავით ონოფრიშვილი.

კანონპროექტის თანახმად, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ფუნქციები იქნება ბაზრის რეგულირებადი მონაწილეებისთვის ლიცენზიების მიცემა, შეჩერება ან გამოთხოვნა; მის კომპეტენციაში იქნება ასევე ბაზრის რეგულირებად მონაწილეთა მოღვაწეობის მონიტორინგი, შემოწმება და ზედამხედველობა; ფასიანი ბაზრის კანონმდებლობის დარღვევისთვის სათანადო სანქციების გამოყენება; ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ საკითხებზე კანონქვემდებარე აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ სადღეისოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეროგატივაა, ამდენად, ფინანსების ამ მნიშვნელოვან სფეროში დამოუკიდებელი მმართველი ორგანოს შექმნა მის გაცილებით სრულყოფილად და ეფექტიანად მართვას უნდა შეუწყოს ხელი. ამის განსახორციელებლად კი, პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო პაკეტის დებულებათა თანახმად, მის ფარგლებში ბევრ კანონში, კერძოდ, „ეროვნული ბანკის შესახებ“ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშების აუდიტის შესახებ“, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“, „მეწარმეთა შესახებ“, „საგადასახადო სისტემისა და, საგადასახადო მომსახურების შესახებ“ და კიდევ რამდენიმე სხვაში დაგეგმილია შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

საკანონმდებლო ინიციატივით გათვალისწინებულია, რომ ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრებს პარლამენტი ხუთი წლის ვადით დაამტკიცებს. გარდა ამისა, საკანონმდებლო ორგანო ასევე ფინანსური ანგარიშებისა და აუდიტის საზედამხედველო საბჭოს შემადგენლობასაც დააკომპლექტებს. ექსპერტთა აზრით, მეტად მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინიცირებულ საკანონმდებლო პაკეტში გათვალისწინებულია, თუ როგორ გადაიჭრება საფონდო ბირჟაზე დაშვებულ საჯარო ფასიან ქაღალდებზე გარიგებათა გამჭვირვალე გარემოში დადების საკითხი.



უნდა ითქვას, რომ ფინანსურ სექტორში ერთიანი რეგულატორის გაჩენა მის ძირითად სფეროთა, კერძოდ, საბანკო და სადაზღვევო, ასევე ფასიანი ქაღალდების ბაზრის მეტ-ნაკლებად კარგად და თანაბრად განვითარების პირობებშია საჭირო. ამ დროს კორპორაციული და ფინანსურ ინსტრუმენტთა მეტად მნიშვნელოვანი შერწყმა და ურთიერთგადაფარვა ხდება. ხოლო როცა ფინანსური სექტორის ცალკეული სფეროები არათანაბრად არიან განვითარებულნი (როგორც ეს, ამ შემთხვევაში, ჩვენშია, სადაც საბანკო სექტორი სხვებთან შედარებით გაცილებით „წინაა“), მით უმეტეს მაშინ, როცა სხვები ლამის ჩანასახოვან მდგომარეობაში არიან, არსებობს გაერთიანებული რეგულატორის უფრო მეტად განვითარებულ მიმართულებაზე ყურადღების გადატანის საშიშროება. შესაბამისად, ნაკლებად განვითარებული სფეროები კიდევ უფრო მეტად „დაიჩაგრებიან“, შესაბამისად გაიზრდება დისპროპორცია, დაირღვევა სექტორის ერთიანი განვითარების სწრაფვა. ამდენად, ფინანსური სფეროს რომელიმე სეგმენტის განვითარების საწყის ეტაპზე დამოუკიდებელი რეგულატორის არსებობის პირობებში, როგორადაც, ახლო მომავალში, ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია მოგვევლინება, იგი გაცილებით უფრო სწრაფად და სრულფასოვნად ჩამოყალიბდება.

**ოთარ ტურაბელიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**წინა ხელისუფლების მმართველობის დროს ხშირი იყო კონკრეტული ბიზნესმენებისთვის ქონების წართმევის ფაქტები, ხოლო ვინც ხელისუფლების მიერ მოთხოვნილი ქონების გაცემაზე უარს ამბობდა, ის ან ციხეში ხვდებოდა, ან ქვეყნის დატოვება უწევდა. მართალია, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამგვარ ფაქტებს კატეგორიულად უარყოფენ, მაგრამ ფაქტები არსებობს და ამის შესახებ საკმაოდ ავტორიტეტული საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მოხსენებებიც მიუთითებენ.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ წინა ხელისუფლების მიერ ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის ჩამორთმეული ქონების შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს. ინფორმაცია ორგანიზაციამ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან გამოითხოვა. როგორც აღმოჩნდა, 2004-2005 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 4 449 292 ლარი და 218 500 აშშ დოლარი შეადგინა, 2006 წელს ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ — 9 990 898 ლარი, 5 616 800 აშშ დოლარი და 10 100 ევრო, 2007 წელს კი ნაჩუქარი ქონების ღირებულებამ 123 396 887 ლარსა და 167 780 აშშ დოლარს გადააჭარბა. სახელმწიფოს ამ პერიოდში ჩუქნიდნენ როგორც მოძრავ, ასევე — უძრავ ქონებასა და სამეწარმეო წილებს. 2004-2007 წლებში სახელმწიფოსთვის ნაჩუქარი ქონების საერთო ღირებულებამ შეადგინა 137 837 077 ლარი, 6 003 080 აშშ დოლარი და 10 100 ევრო.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ განმარტავენ, რომ ინფორმაციის დამუშავების პროცესში რამდენიმე საეჭვო შემთხვევაც გამოვლინდა. აღმოჩნდა, რომ სახელმწიფოსთვის ძვირადღირებული ქონების ჩუქების ან სიმბოლურ თანხად 1 ლარად მიყიდვის „სურვილი“ სახელმწიფო კომპანიებს, მუნიციპალიტეტებს თვითმმართველ ქალაქების გარდა, მრავალ კერძო კომპანიას და ფიზიკურ პირსაც უჩნდებოდა.

## 2004-2005 წლები

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ინფორმაციით, ამ პერიოდში აღირიცხა შემთხვევა, როდესაც ფიზიკურმა პირმა კურორტ საირმეში 220 000 ლარად შეფასებული 3 694 კვ.მ. ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. სხვა ფიზიკურმა პირმა კი გარდაბანში 1.5 ჰა მიწის ნაკვეთი, რომლის ღირებულებაც იმ დროისთვის 140 000 ლარს შეადგენდა, უსასყიდლოდ სახელმწიფოს სახელზე აღირიცხა. შპს კორპორაცია „ივერია პლიუსმა“ თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მდებარე 8 496 კვ.მ. 2 000 000 ლარის ღირებულების არასაცხოვრებელი ფართი შესწირა სახელმწიფოს. შპს „სნაიპერმა“ 182 500 აშშ დოლარის ღირებულების 500 ცალი პისტოლეტი „იერიხო“ აჩუქა სახელმწიფოს. შპს „ოლიმპმა“ სახელმწიფოს 217 000 ლარად შეფასებული 8 მიწის ნაკვეთი, მათზე მდგარი შენობა-ნაგებობებით უსასყიდლოდ გადასცა. აღსანიშნავია, რომ ეს მიწის ნაკვეთები და მათზე აღმართული შენობა-ნაგებობების მისამართად დოკუმენტებში მითითებულია აღმაშენებლის გამზირი, №73 (ვარდების ბაღის ტერიტორია).**

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გამოვლინდა განსაკუთრებით ბევრი შემთხვევა, როდესაც ცალკეული ფიზიკური თუ იურიდიული პირები სხვადასხვა სახის ავტომანქანებს უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს (მაგალითად, ერთ-ერთმა ფიზიკურმა პირმა სახელმწიფოს 81 000 ლარის ღირებულების BMW მარკის ავტომობილი აჩუქა).

## 2006 წელი

**კომპანია „მათე მოტორსმა“ 66 497 ლარის ღირებულების „ტოიტა პრადო“ გადასცა სახელმწიფოს. საქველმოქმედო ფონდმა „ცისკარი“ 300 000 ლარზე მეტი ღირებულების კომპიუტერული ტექნიკა, ხოლო შპს „Melvale Corporatin“-მა 216 960 ლარის ღირებულების დამცავი ფარები აჩუქა სახელმწიფოს. საქართველოს სპორტულმა საზოგადოება „მართვემ“ კი 800 000 აშშ დოლარად შეფასებული, თბილისში, ცოტნე დადიანის №134-ში მდებარე მიწის ნაკვეთი (16 994 კვ.მ.) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. ამავე პერიოდში, შპს „გოგირდის აბანომ“ 650 000 აშშ დოლარად შეფასებული შენობა-ნაგებობები გადასცა სახელმწიფოს. 2006 წელს ერთ-ერთი ყველზე მაღალი ღირებულების უძრავი ქონება — 1 227 554 ლარად შეფასებული თბილისში დადიანის ქუჩის №28-ში მდებარე შენობა, საერთო ფართით 412 კვ.მ. და მისი მიწის ნაკვეთი ფართით 566 კვ.მ. საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „ქართუმ“ უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.**

2006 წელს სახელმწიფოსთვის ნაჩუქარ ქონებაში ფიგურირებს რიყის ტერიტორიაზე უძრავი ქონების ჩუქების ფაქტებიც. ამ ტერიტორიაზე უძრავ ქონებას სახელმწიფოს როგორც ფიზიკური, ასევე — იურიდიული პირებიც ჩუქნიდნენ.

შვიდმა ფიზიკურმა პირმა თბილისში რიყის ტერიტორიაზე მდებარე, 2 000 000 აშშ დოლარის ღირებულების ფართი უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს. შპს „ნატვრის ხემ“ კი ამავე ტერიტორიაზე 650 000 აშშ დოლარად შეფასებული უძრავი ქონება აჩუქა სახელმწიფოს.

# ფეხქვეშ გათელილი ბიზნესი



## 2007 წელი

**2007 წელს რამდენიმე თვალსაჩინო ჩუქება განხორციელდა. შპს „ჯორჯიან ეარვეისმა“ 3 182 924 ლარის ღირებულების TOYOTA PRADO, TOYOTA CAMRY და TOYOTA HILUX-ის მარკის ავტომობილები (ჯამში 75 ერთეული) აჩუქა სახელმწიფოს. ამავე წელს კავშირმა „თანადგომა XXI საუკუნემ“ 18 351 165 ლარის სამედიცინო მოწყობილობა უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს.**

2007 წელს გამოვლინდა ყველაზე მეტი შემთხვევა, როდესაც ფიზიკური პირები უსასყიდლოდ გადასცემდნენ სახელმწიფოს ქალაქის ცენტრში მდებარე უძრავ ქონებას. ჯამში ფიზიკური პირების მიერ სახელმწიფოსთვის გადაცემული უძრავი ქონება რამდენიმე მილიონ ლარს შეადგენს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ აგრძელებს სახელმწიფოსთვის კერძო პირების მიერ ნაჩუქარი ქონების შესწავლას. ორგანიზაცია მადლობას უხდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციის სრულყოფილად მოწოდებისთვის.

ორგანიზაციაში განმარტავენ, რომ გამოვლენილი შემთხვევები ბადებს მნიშვნელოვან ეჭვებს, რომ ქონების სახელმწიფოსთვის მასიური გადაცემა ყველა შემთხვევაში არ ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს და არ ასახავდა ქონების მესაკუთრის ნებას. შესაბამისად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“ მოუწოდებს ყველა დაზარალებულ პირს, მიმართოს ორგანიზაციის სამართლებრივი დახმარების ცენტრს და გაიაროს შესაბამისი კონსულტაციები.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ ასევე განმარტავენ, რომ ორგანიზაციამ გამოითხოვა ინფორმაცია, რომელიც მოიცავს პერიოდს 2004 წლიდან 2013 წლის მარტამდე. ამ დროისთვის ორგანიზაციის თანამშრომლები ამუშავებენ მიღებული ინფორმაციის მეორე ნაწილს და უახლოეს მომავალში გამოაქვეყნებენ შესაბამის შედეგებს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წინა ხელისუფლების პირობებში ბიზნესი ტერორის ქვეშ იყო და ამაზე უკვე თავად ბიზნესმენებიც ღიად საუბრობენ. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ, გავესაუბრებოდით რამდენიმე იმ ცნობილი კომპანიის წარმომადგენელს, რომლებიც ამ ჩამონათვალში მოხვდა. რამდენიმე კომპანიის წარმომადგენელმა ამ თემაზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა ქონებაჩამორთმეული რამდენიმე კომპანიის ხელმძღვანელობასთან გასაუბრება მაინც მოხერხდა.

სს „ელექტროშემკეთებლის“ ადმინისტრაციის უფროსმა **სიმონ კვირკველიამ** ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ იმ პერიოდში, როდესაც სახელმწიფოსთვის აქციების ჩუქება მოხდა, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი იყო და მისმა გარემოცვამ ჩაიგდო ხელში ქარხანა, რომელიც მანამდე რამდენიმე აქციონერის საკუთრებაში იყო.

„იმ პერიოდში აქ ვინ რას აკეთებდა, კაცმა არ იცის. ერთადერთი რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, ქარხანას აჰკიდეს სერიოზული ვალი“, - განაცხადა სიმონ კვირკველიამ.

მისი თქმით, მოგვიანებით კანონიერმა მესაკუთრეებმა ქარხანა დაიბრუნეს და ამჟამად იგი სრულად კერძო საკუთრებაშია, სახელმწიფოს კი ქარხნის აქციები აღარ გააჩნია.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ სიაში ერთ-ერთი არის „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია“, რომლის სამართალმემკვიდრეც ახლა „ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციაა“. ეს უკანასკნელი სამი კომპანიის, „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“, „საქართველოს გაზის საერთაშორისო კორპორაციის“ და „საქნავთობის“ ბაზაზე 2006 წლის ბოლოს შეიქმნა, თუმცა, კომპანიაში არ აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რატომ და რა პირობებში აჩუქა სახელმწიფოს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ“ იარაღი. „ნავთობისა და გაზის საერთაშორისო კორპორაციაში“ განგვიმარტეს, რომ ამჟამად კომპანიაში ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური და საგადასახადოს წარმომადგენლები არიან შესულები და წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილ ქმედებებს სწავლობენ. ვინაიდან 2006 წელს „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის“ პრეზიდენტი **ნიკოლოზ ვაშაკიძე** იყო (რომელიც მოგვიანებით საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მუშაობდა), იარაღის საკითხის გასარკვევად სწორედ მას დავუკავშირდით. ვაშაკიძემ განაცხადა, რომ ვერ იხსენებს მისი მმართველობის პირობებში კომპანიამ სახელმწიფოს რაიმე იარაღი თუ გადასცა, თუმცა ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ეს დაცვის სამსახურის იარაღი იყო, რომელიც „საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციამ“ შემდეგ სახელმწიფოს ჩააბარა.

კიდევ ერთი კომპანია, რომელმაც 76 000-ლარიანი საჩუქარი (თვითმფრინავი) გაუკეთა სახელმწიფოს, არის „ჯორჯიან ეარვეის“, რომლის გენერალური დირექტორი **იასე ზაუტაშვილი** for.ge-სთან საუბარში ადასტურებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს“ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას, თუმცა, აქვე დასძენს, რომ ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ქონებისა, რაც კომპანიამ სააკაშვილის მმართველობის წლებში სახელმწიფოს გადასცა. იასე ზაუტაშვილი განმარტავს, რომ ამ პერიოდის განმავლობაში „ჯორჯიან ეარვეისმა“ სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა სამ მილიონ ლარზე მეტის ღირებულების ავტომობილები და ერთი საჰაერო ხომალდი.

**„უნდა ითქვას, რომ ამის გარდა წინა ხელისუფლების ჩვეული მეთოდებით კიდევ საკმაოდ დიდი ოდენობის ქონება და ფულადი სახსრები იქნა სახელმწიფოს მიერ კომპანიისგან მითვისებული. ეს იყო ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი იმ მიზანმიმართული ქმედებისა, რომელსაც წინა ხელისუფლება ჩვენი კომპანიის ფინანსური დასუსტების და ალბათ, გაკოტრების მიზნით ახორციელებდა, რადგან სწორედ კომპანიის გაკოტრება იყო მათი მიზანი. მათი ამ ქმედებების გამო, „ჯორჯიან ეარვეისს“ უზარმაზარი ვალები დაედო, რომლის გასტუმრება დღესაც მიმდინარეობს და კომპანია დღესაც ფინანსურ სიდუჭირეს განიცდის“,** — აცხადებს კომპანიის დირექტორი.

**„მოთხოვნები სხვადასხვა გზით ხორციელდებოდა. ეს იყო ხან სატელეფონო ზარი, ხან სხვადასხვა უწყებებში კომპანიის ხელმძღვანელობის დაბარება, ასევე შემოთვლა სხვადასხვა პირების მიერ და ა.შ. დამეთანხმებით, ასეთი მსუყე საჩუქრის გაკეთებას საქართველოში კი არა, მსოფლიოში ვერავინ აიღებს თავის თავზე. უბრალოდ, კომპანიას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. იგივე, თუნდაც, ქონების მართვის სამინისტროს ამხელა ქონებას ვინმე საკუთარი ნებით აჩუქებდა? რა თქმა უნდა, არა“.** — აღნიშნავს იასე ზაუტაშვილი.

**რუსუდან უშიკიშვილი**

---

**ალიან-ჩალიანი**

## „მე ხალხმა დამიქირავა და მისი ინტერესები უნდა შევასრულო“



**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი მარგველაშვილის განცხადებით, სასკოლო სახელმძღვანელოების შესახებ გადაწყვეტილება მისი მინისტრობის პერიოდში არ შეიცვლება. როგორც მარგველაშვილმა ბრიფინგზე, ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის წერილის კომენტირებისას განაცხადა, ის გაეცნო ამ წერილს და წერილის ავტორებს მოუწოდებს, გაეცნონ, თუ რა რეაქცია აქვს საქართველოს მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით.**

**— მე შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ მივისწრაფით თავისუფალი ბაზრის შექმნისკენ. მოვუწოდებთ წერილის ავტორს, კარგად ჩაიხედონ ვითარებაში, სანამ წერილს მოგვწერს დაგვიკავშირდეს კითხვებით. მე სამსახურში ამიყვანა და დამიქირავა საქართველოს მოსახლეობამ და თავის ჯიბიდან ისინი ყოველ თვე მიხდიან ხელფასს. მე მათი დაქირავებული ვარ და მათ ინტერესებს ვახორციელებ და არა რომელიმე, თუნდაც ძალიან პატივსაცემი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესებს. ეს ევროპული იქნება, თუ სხვა ქვეყნის, უმჯობესი იქნება დაინტერესდნენ რა რეაქცია აქვთ საქართველოს მოსახლეობას ამ საკითხთან მიმართებაში, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.**

**ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფის წერილი ორი დღის წინათ გავრცელდა. როგორც წერილშია ნათქვამი, ევროპის საგანმანათლებლო გამომცემელთა ჯგუფს საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციამ შეატყობინა, რომ საქართველოს მთავრობის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილების გამო ქართული წიგნის ბაზარი სერიოზული საფრთხის წინაშე დგას.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ივანიშვილი შპალებით წავიდა

**ბიძინა ივანიშვილმა მოგვიწოდა, აღვადგინოთ რკინიგზა რუსეთში. თუ ეს მოხდება, ეს ნიშნავს არა მხოლოდ სარკინიგზო მიმოსვლის განახლებას რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ კავკასიაში რუსეთის საკვანძო მოკავშირის — სომხეთის — დებლოკადასაც. თუმცა, ამ ამოცანის გადაწყვეტა არც ისე მარტივი იქნება — და უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზეზების გამო.**

მოძრაობა „საქართველოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთში პერსპექტივაში აუცილებლად გაიხსნება“. ამის შესახებ ორშაბათს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა.

**„ამ მონაკვეთზე მოძრაობის განახლებისთვის საჭირო იქნება დრო, და ამ საკითხის გადაჭრაც იოლი როდი იქნება, მაგრამ ეს მოხდება აუცილებლად“,** — განაცხადა მან და დაუმატა, რომ დაცული იქნება ყველა დაინტერესებული მხარის, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს უფლებები.

სხვათა შორის, ივანიშვილის სიტყვებით, თბილისში „არ აქვთ ილუზია, რომ შეიძლება სწრაფად მოვაწესრიგოთ ურთიერთობა რუსეთთან“. „ჩემი დიდი ოცნება, თუ გნებავთ,



მთლიანად მთელი ჩვენი პოლიტიკური გუნდისაც, ეს არის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგება. მაგრამ ჩვენ არ გვაქვს მოხდება ილუზიები, რომ ეს ძალიან მალე“, — აღიარა მან.

**„ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ, სწორი, დიპლომატიური და მხოლოდ მშვიდობიანი გამონათქვამებითა და მოქმედებებით აუცილებლად შევძლებთ, მოვაწესრიგოთ ურთიერთობანი ჩვენს დიდ მეზობელთან, — დაგვპირდა ივანიშვილი. — უკვე არის გარკვეული პროგრესი რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთობათა მოწესრიგების პროცესში“.**

ივანიშვილი დაპირდა აფხაზებსა და ოსებს, რომ არ გავიმეორებთ წინა ხელისუფლების შეცდომებს და არ გამოვიყენებთ ძალას მათ წინააღმდეგო, იტყობინება სააგენტო „ნოვოსტი-გრუზია“. **„უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ურთიერთობებში ჩვენ ძმებთან — აფხაზებთან და ოსებთან — დაშვებული იქნა ბევრი შეცდომა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან. ჩვენი მიზანია — არ გავიმეოროთ მსგავსი რამ და არ დავუშვათ საკითხის გადაჭრა ძალით“,** — განაცხადა ივანიშვილმა.

სოხუმის გავლით მატარებლების მოძრაობის განახლებაში უკიდურესად დაინტერესებულია ამიერკავკასიის კიდევ ერთი რესპუბლიკა, მოსკოვის ტრადიციული მოკავშირე — სომხეთი, რომელიც 1992 წლიდან სატრანსპორტო იზოლაციაში რჩება.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საპირისპირო აზრისაა. **„ამ რკინიგზის გახსნის საკითხის ცალკე განხილვა იქნება ანტისახელმწიფო და ანტიქართული აქტი“,** — შენიშნა სააკაშვილმა.

### „სარელსო გეოპოლიტიკა“

**ამ დროს საქართველოში აქტიურად გაჰყავთ სხვა რკინიგზა — რუსეთის გვერდის ავლით. იგი საქართველოს, აგრეთვე აზერბაიჯანს დააკავშირებს თურქეთთან. მარტში ბათუმში ამ სამი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დაადასტურეს მზადყოფნა — გახსნან მაგისტრალი ბაქო-თბილისი-ყარსი უკვე მიმდინარე წელს. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ პროექტის დაჩქარებული რეალიზაცია განპირობებულია მოსკოვის გულგრილი რეაქციით საქართველოსთან სარკინიგზო მიმოსვლის განახლების იდეაზე.**

ასეთი პროექტი ასევე არახელსაყრელია ირანისთვის და იგი ახდენს სომხეთის საბოლოო იზოლირებას. აპრილში აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა შეგვახსენა: **„სომხეთი იზოლირებულია ამ პროექტისგანაც. ეს ჩვენი პრინციპული პოზიციაა. მანამ, სანამ ჩვენი მიწები ოკუპაციაში იქნება, სომხეთი ვერ შეძლებს იყოს ჩვენი რეგიონალური პროექტის მონაწილე“.**

სამაგიეროდ, პროექტი ხელსაყრელია საქართველოსთვის, აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის, რომლებიც ამ სატრანსპორტო კორიდორს აგებენ შუა აზიიდან ევროკავშირისკენ. ამრიგად, თუ რელსებს თურქეთთან შეკრავს, საქართველოს არსებითად აღარ დასჭირდება რკინიგზა რუსეთისკენ.

### „რომელი მესაზღვრე შეხვდება?“

**პარლამენტში სააკაშვილის მომხრეთა აზრით, ივანიშვილმა არ უნდა განაახლოს მატარებლების მოძრაობა აფხაზეთის გავლით, სანამ არ გადაწყდება პოლიტიკური საკითხები. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტის დეპუტატმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ მისთვის პრინციპულია, რომ გზის მონაკვეთი, რის შესახაც ისაუბრა პრემიერმა, გადის „ოკუპირებულ ტერიტორიაზე“.**

**„ოპოზიციას ამ იდეის არაერთმნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს. როგორი იქნება სტატუსი? ვის მიეკუთვნება ეს რკინიგზა? რომელი მესაზღვრე შეხვდება რუსეთ-საქართველოს საზღვარზე? როგორი საბაჟო? რა დოკუმენტებს გააფორმებენ იქ? საქართველო აღიარებს მხოლოდ ერთ საზღვარს მდინარე ფსოუზე ადლერის შემდეგ. კიდევ ბევრი საკითხი იქნება გადასაჭრელი“,** — განუცხადა დეპუტატმა ჩვენს გაზეთს.

დეპუტატმა შეგვახსენა, რომ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას თბილისი ყოველთვის უკავშირებდა კონფლიქტის მოწესრიგებას, ლტოლვილთა დაბრუნებას. **„ჩვენ ამ საკითხს განვიხილავდით რუსეთთან ჯერ კიდევ 2008 წლამდე, მაგრამ რუსეთმა დაბლოკა ეს საკითხი. ამჟამად ჩვენ იურიდიულად მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის მონაკვეთი — საქართველოს რკინიგზის ნაწილია. ამჟამინდელ მთავრობას არ აქვს პასუხები მრავალ შეკითხვაზე“,** — აღნიშნა მაჭავარიანმა.

დეპუტატი აღიარებს, რომ აფხაზეთის გზის მონაკვეთი მაინც სჭირდება საქართველოს ეკონომიკური თვალსაზრისითაც. **„ჩვენ გვაქვს ტვირთები აზიური ქვეყნებიდან, ჩინეთიდან, ინდოეთიდან. და ეს რკინიგზა იმუშავებს, მაგრამ ამ მონაკვეთის გახსნა — დიდი პოლიტიკური საკითხია“,** — მიუთითა მაჭავარიანმა. მან ივარაუდა, რომ თავად პრემიერსაც ჯერ არ წარმოუდგენია თუ როგორ გაფორმდება ასეთი გადაწყვეტილება.

მოსკოვში კი მიაჩნიათ, რომ საჭიროა დავიწყოთ ეკონომიკური ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, გვერდზე გადავდოთ პოლიტიკური უთანხმოებანი.

**„არ არის საჭირო სათავეში დავაყენოთ სტატუსის საკითხი. თითქოს იგი არც არსებობდეს! — უთხრა ჩვენს გაზეთს დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ ვლადიმერ ჟარიხინმა. — აფხაზეთს თავი სუვერენულ რესპუბლიკად მიაჩნია. უნდა ურთიერთვიმოქმედოთ და მეტი არაფერი. გავაკეთოთ საერთო საქმე, გადავჭრათ საერთო პრობლემები. მექანიზმის მოწესრიგების გავლით ნდობა თანდათანობით გავა ამ საკითხზე. სტატუსის საკითხის გადაწყვეტა — ეს უკანასკნელი საკითხია სიიდან. ამის შესახებ თავის დროზე საუბრობდა პუტინი“.**

ოპოზიციონერ მაჭავარიანისგან განსხვავებით, ჟარიხინმა ივარაუდა, რომ ივანიშვილს სავსებით ესმის, რომ პრობლემის გადაჭრა საჭიროა სწორედ ამგვარად.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## ომსა და სისხლისღვრაზე გონიერებამ გაიმარჯვა

# სერბია და კოსოვო მორიგდნენ

**წლების განმავლობაში გრძელდებოდა დაპირისპირება, ომი, სისხლისღვრა — კოსოვოს გამო — სერბიაში. ბოლოს, გონიერებამ გაიმარჯვა და გასულ პარასკევს, ევროკავშირის შუამავლობით, შეთანხმება იქნა მიღწეული. ეს შეთანხმება მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, რადგან გაჩნდა შანსი, რომ მარადიული დავა და უთანხმოება არა მხოლოდ ზოგადად სერბებსა და ალბანელებს შორის, არამედ სერბიის პოლიტიკურ ძალებსა და საზოგადოებაში, თუ არ დასრულდება, მინელდება მაინც. შეთანხმება, რომელიც სწრაფადვე, კვირას, პრიშტინაში, ხოლო ორშაბათს სერბიის პარლამენტის მიერ იქნა დამტკიცებული, შემდეგს გულისხმობს: კოსოვოს ჩრდილოეთში მცხოვრებ სერბ უმრავლესობას უფლება მიეცემა პოლიცია თვითონ დააკომპლექტოს, ანუ პოლიცია სერბიული იქნება, თუმცა, მათ უნდა აღიარონ კოსოვოს ამ არეალში ცენტრალური ხელისუფლების, პრიშტინის, ალბანური მთავრობის უფლებამოსილება. ამ შეთანხმების ერთი პუნქტი ეხება ევროპის კავშირისკენ მხარეების სწრაფვის პროცესში ერთმანეთისთვის ხელის არშეშლას.**



მართალია, შეთანხმება სერბებმა მიიღეს პოლიტიკურ დონეზე, მაგრამ მას ნაციონალისტურად განწყობილი საზოგადოება არ მიემხრო. მიტროვიცაში, კოსოვოს ჩრდილოეთ არეალში, სადაც სერბები სახლობენ, რამდენიმე ათასმა კაცმა მოაწყო გამოსვლა და პროტესტი გამოხატა ბელგრადის დათმობების მიმართ. დასავლეთის პოლიტიკოსები მიესალმნენ მოლაპარაკებათა მარათონის მორიგებით დასრულებას. კეტრინ ეშტონი თვითონ იყო ერთ-ერთი შუამავალი, როგორც ევროკავშირის საგარეო-პოლიტიკური ლიდერი. ის, შედეგით კმაყოფილი დარჩა: **„ზოგიერთი თემა, რომელსაც ამ მოლაპარაკებაზე განიხილავდნენ, უკვე განხორციელების ფაზაშია. ის მოტივაცია, რომლითაც მხარეები შეთანხმდნენ, იმედს მაძლევს, რომ დოკუმენტის ყველა ნაწილი განხორციელდება.“**

მიღწეული წინსვლის გათვალისწინებით, ევროკომისია რეკომენდაციას აძლევს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს, რომ დაიწყონ მოლაპარაკება სერბიასთან ევროკავშირში გაწევრების, კოსოვოსთან კი სტაბილიზაციისა და ასოციირების შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

როცა სერბია და კოსოვო ამ მოლაპარაკებას მართავდნენ, ბელგრადს პირობასავით ჰქონდა წაყენებული, რომ საკუთარ ყოფილ ოლქთან ურთიერთობის ნორმალიზება ევროკავშირთან მის დაახლოებას შეუწყობდა ხელს. ეს პირობაც აღსრულდა და ევროკომისიამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს რეკომენდაცია მისცა.

ახლა სერბიასა და კოსოვოსთან ამ მოლაპარაკების დაწყების შესახებ გადაწყვეტილება წევრი ქვეყნების მეთაურებმა უნდა მიიღონ. საბოლოო გადაწყვეტილებას ისინი მაშინ მიიღებენ, როცა შეთანხმება მართლაც განხორციელდება. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიდო ვესტერველემ მკაფიოდ გამოხატა ეს აზრი: **„ჩვენი სურვილია, შეთანხმება სერბიასა და კოსოვოს შორის ახლავე განხორციელდეს. ჩვენი აზრით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია“.**

**ოქროპირ რუხაძე,**
**რადიო „თავისუფლება“**

## დედამიწის ზურგზე



**ჩინეთში ტერორისტების შეპყრობის სპეცოპერაციაში 21 კაცი დაიღუპა. ნახევარზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრებლები არიან**

სროლების დროს სინცზიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში ექვსი დამნაშავის გარდა მოკლეს პოლიციელები და სოციალური მუშაკები. ტერორისტების შესახებ იტყობინებოდნენ ეს უკანასკნელები იარაღის არალეგალური შენახვის ეჭვთან დაკავშირებით. სროლები დაიწყო ჩხრეკის დროს.

* * *

**ბანგლადეშის დედაქალაქში რვასართულიანი სამკერვალო ფაბრიკა ჩამოინგრა, თან მოიყოლა სულ ცოტა 82 კაცი**



ფაბრიკის ხელმძღვანელებმა უგულებელყვეს ხელისუფლების გაფრთხილება: წინა დღით შენობაში შენიშნეს ბზარი და თანამშრომლებს იქ არავინ უნდა შეეშვათ. იტყობინებიან 700 დაჭრილის შესახებ. ნანგრევების ირგვლივ შეიკრიბნენ მახლობლები. ნანგრევებიდან ისმის ლოცვების ხმა.

* * *

**კოლუმბიაში ახალგაზრდა პოლიციელმა გადაარჩინა თვითმკვლელი მატარებლის შემოსვლამდე ერთი წამით ადრე**



19 წლის წესრიგის დამცველმა შენიშნა, რომ მამაკაცი საეჭვოდ იქცევა: შედის უსაფრთხოების ზონაში პლატფორმის კიდეზე, იმზირება რელსებში და ნერვიულობს. წინათგრძნობამ არ უმტყუნა პოლიციელს: როდესაც მატარებელი მოახლოვდა, თვითმკვლელი ემზადებოდა რელსებში ჩასახტომად, მაგრამ ამ მომენტში მას ხელი სტაცა გადამრჩენელმა.

* * *

**ნატოში რუსეთის ფედერაციასთან საბჭოს შემდეგ ბრიუსელში ანონიმურად უჩივლეს მოსკოვს: „რამდენიმე წელიწადია გაწბილებას ბოლო არ უჩანს“**

ალიანსში მაღალი რანგის წყაროებმა აღნიშნეს, რომ ბრიუსელში დაიღალნენ რუსეთის პოზიციისგან, რომელსაც არ სურს, მიიღოს მონაწილეობა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის დამუშავებაში, მაგრამ ამავე დროს უარყოფს ნებისმიერ შემხვედრ წინადადებას. ნატოში გაოგნებული არიან მოსკოვის სიჯიუტით და ეჭვი ეპარებათ, რომ უახლოეს მომავალში მიაღწევენ პროგრესს ამ დარგში.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## წიგნი

# რას გვპირდება ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა?

**1999 წელს დაარსდა და თავდაპირველად ის თანამედროვე ქართველი და უცხოელი მწერლების ნაწარმოებების გამოცემაზე იყო ორიენტირებული. დროთა განმავლობაში გამომცემლობის საგამომცემლო პრიორიტეტები გაფართოვდა და პატარა ოჯახური ტიპის გამომცემლობიდან საქართველოს წამყვან გამომცემლობად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, საქართველოში საგამომცემლო საქმიანობის განვითარებაში. ამჟამად გამომცემლობის პრიორიტეტებია: თანამედროვე ქართული და უცხოური პროზა, საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურა, სასკოლო სახელმძღვანელოები და დარგობრივი ლიტერატურა.**

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ყოველწლიურად დაახლოებით ორასამდე წიგნს გამოსცემს, მათ შორისაა როგორც თანამედროვე ქართველი, ისე მსოფლიოში ცნობილი ბესტსელერების ავტორებისა და ნობელიანტი მწერლების ნაწარმოებები.



მასში დაგეგმილი წიგნის ფესტივალთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მარკეტინგის მენეჯერს **ნინო ნადიბაიძეს**.

**— საინტერესოა, როგორ იღებთ გადაწყვეტილებას, რომელი წიგნი უნდა დაბეჭდოთ და რომელი არა?**

— თარგმანებს რაც შეეხება, ჩვენ მუდმივად ვცდილობთ, მკითხველს ის წიგნები შევთავაზოთ, რომლებიც მსოფლიოში ძალიან უყვართ და ძალიან პოპულარულია. ამას გარდა, წიგნი უნდა იყოს მხატვრული ღირებულების და, რა თქმა უნდა, კომერციულადაც საინტერესო. თუმცა, ხშირად გამოგვიცია კომერციულად ნაკლებად მომგებიანი პროდუქტი მხოლოდ იმიტომ, რომ მიგვაჩნდა, ესა თუ ის წიგნი აუცილებლად უნდა გამოცემულიყო ქართველი მკითხველისთვის. რაც შეეხება ადგილობრივი ავტორების წიგნებს, ჩვენ თითქმის ყველა თანამედროვე და პოპულარულ ქართველ ავტორთან ვთანამშრომლობთ, ჩვენთან გამოსცემენ წიგნებს: დათო ტურაშვილი, ლაშა ბუღაძე, აკა მორჩილაძე, ზაზა ბურჭულაძე, ბასა ჯანიკაშვილი და ა. შ. თუმცა, ჩვენ ყოველთვის მზად ვართ მხარში ამოვუდგეთ ახალგაზრდა დამწყებ მწერლებს, ასე რომ, ჩვენს ბიბლიოთეკაში ბევრი დამწყები მწერლის ნაწარმოებებს შეხვდებით.

**— რომელი წიგნები უნდა გაიტანოთ მაისში წიგნების ფესტივალზე?**

— თბილისის წიგნის ფესტივალზე ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა მკითხველს თავის მიერ გამოცემულ ყველა წიგნს წარუდგენდა და წელსაც არ დაირღვევა ეს ტრადიცია.

**— ქალბატონო ნინო, რა აქციებს გამართავთ ფესტივალზე? შარშან იყო წიგნების წარდგენა და მათი ავტორების გაცნობა, დაირღვევა ეს ტრადიცია?**

— ყოველწლიურად წიგნის ფესტივალზე გამომცემლობა ატარებს ლიტერატურული პრემიის „წლის საუკეთესო მოთხრობის ავტორის“ დაჯილდოების ცერემონიას, ეს ტრადიცია წელსაც გაგრძელდება, ამის გარდა, გამომცემლობამ საკუთარი საავტორო სტენდთან პროექტის „ლიტერატურა გურმანებისათვის“ ფარგლებში მკითხველს ავტორთან შეხვედრის არაერთი შესაძლებლობა მისცა. ამ აქციის ფარგლებში გამომცემლობის ავტორები სხვადასხვა მოდერატორთან ერთად მკითხველის თვალწინ კერძებს ამზადებდნენ, პარალელურად კი საუბრობდნენ ლიტერატურაზე. ამ აქციამ მკითხველის ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა, წელს, რა თქმა უნდა, გვექნება უამრავი შეხვედრა და პრეზენტაცია, თუმცა, რა ფორმატში იქნება ეს, ჯერ ამის თქმა არ შეგვიძლია.

**— თქვენს გამომცემლობას წიგნები გააქვს ასევე ფრანკფურტის წიგნის ფესტივალზე. წელს რა წიგნები უნდა გაიტანოთ?**

— ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გამომცემლობებს მიაქვთ წიგნები, რომლის საავტორო უფლებების გაყიდვაც შეუძლიათ, შესაბამისად, წელსაც ზუსტად ასეთ წიგნებს წავიღებთ, საავტორო უფლებათა გასაყიდი წიგნების კატალოგი შეგიძლიათ ამ ბმულზე იხილოთ htt://sulakauri.ge/files/frankfurt.pdf.

**— გერმანიის გარდა, კიდევ სხვა რომელ ქვეყანაში გაგაქვთ წიგნები?**

— ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ყოველწლიურად მონაწილეობს ბოლონიისა და ლაიფციგის წიგნის ბაზრობებში.

**— დღესდღეობით ძალიან პოპულარულია წიგნების ელექტრონული ვერსია, ითვალისწინებთ მომხმარებლის მოთხოვნებს? რომელი წიგნების ელექტრონული ვერსიები გაქვთ?**

— ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა ყოველთვის ცდილობს, არ ჩამორჩეს თანამედროვე ტექნოლოგიურ სიახლეებს, ამიტომაც ჩვენ უკვე დავიწყეთ წიგნების ელექტრონულ ფორმატში გაყიდვა. ამ ეტაპზე ჩვენი წიგნები ელ. ფორმატში იყიდება ამაზონზე, აითუნსზე, ლიტ. გესა და საბა. ქომ-გე-ზე. ამის გარდა, ჩვენ ლიტ.გესთან ერთად უკვე გავაკეთეთ პირველი ქართული სრულფასოვანი ინტერაქტიული წიგნი, ზღაპარი აპლიკაცია „შოშია“, რომელიც ძალიან მარტივად ინსტალირდება ანდროიდის მოწყობილობებზე და სრულიად უფასოდ შეუძლია ნებისმიერ მსურველს ჩამოტვირთოს გუგლის ფლეისთორიდან. ასევე, მინდა, აღვნიშნო, რომ ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის აქტიური წევრია.

ესაუბრა
**ნინო ოთარაშვილი,**
**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, „სრ“ სპეც. კორ.**

## ალიან-ჩალიანი

# ვიდეომასალას ექთნის უდანაშაულობის საბუთად გამოიყენებენ?



**სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებიდან გათავისუფლებული ექთანი ციალა კაშია მინისტრ სოზარ სუბარს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაში ადანაშაულებს.**

**ციალა კაშია სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში დაკითხვაზე დაიბარეს. მან ჟურნალისტებს ვიდეომასალა გადასცა, რის საფუძველზეც სასჯელაღსრულების №16 დაწესებულებიდან გაათავისუფლეს. ციალა კაშია, ამავდროულად, სასწრაფო სამედიცინო დახმარების უმცროს ექიმად მუშაობდა და მის მიმართ აღძრულ საქმეს სწორედ ამ პერიოდს უკავშირებს.**

**როგორც მან აღნიშნა, სასწრაფოდან გათავისუფლების შემდეგ შიმშილობდა სასწრაფოს დანარჩენ სხვა გათავისუფლებულ ექიმთან ერთად და „ნაციონალებთან“ დაახლოებულ არაერთ პირს ნიღაბი ჩამოხსნა, რის შემდეგაც მასზე დევნა დაიწყო და სასჯელაღსრულების სისტემაში დარჩენილმა პირებმა, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს ატარებენ, მასზე შური იძიეს.**

**კერძოდ, როგორც ციალა კაშია აცხადებს, მიმდინარე წლის 12 აპრილს მივიდა №16 დაწესებულებაში, რა დროსაც ჩაუტარდა შემოწმება, თუმცა კანონის უხეში დარღვევით. კერძოდ, ციალა კაშიას განცხადებით, იგი საჩხრეკ ოთახში შეიყვანეს, ამოწმებდნენ, პროცედურულად ფეხსაცმელი უნდა გაეხადა, ამ დროს უკანა ჯიბიდან მობილური ამოუვარდა, რომელიც მაგიდაზე დადო, რის შემდეგაც დაიწყეს მისი გაშიშვლება და აპირებდნენ, რომ ჩაეტარებინათ გინეკოლოგიური შემოწმება.**



**— ამ შემოწმებას მიტარებდა უცხო პირი, რომელიც დაწესებულების თანამშრომლად გამაცნეს — ქეთევან რამაზაშვილი, რომელიც რეალურად დაწესებულების თანამშრომელი არ იყო. კადრებში ნათლად ჩანს, რომ კანონის უხეში დარღვევით მამოწმებენ. მობილური საჩხრეკ ოთახში ჩვეულებრივი მომენტია, თუმცა, მიუხედავად ამისა, ბრალად წამიყენეს ფარულად მობილურის შეტანის მცდელობა დაწესებულებაში. ქეთევან რამაზაშვილი ასრულებდა პროკურორ ბაკურ აბულაძის დავალებას, რომელიც „ნაციონალებთან“ დაახლოებული პირია, კერძოდ, ქალაქის პროკურორის ყოფილი მოადგილე. პროკურორი კი მოქმედებდა „ნაციონალების“ დავალებით, რომლებიც ჩემზე ანგარიშსწორებას ცდილობენ სასწრაფოდან წამოსვლის შემდეგ მათზე გაკეთებული განცხადებების გამო, — აცხადებს ციალა კაშია.**

**მისივე თქმით, ვიდეომასალა, რომელიც დღეს მედიას გადაეცა, ასახავს, როგორი უფლებების დარღვევით ხდებოდა მისი შემოწმება. ამასთან, ციალა კაშიას თქმით, პირი, რომელიც ჩხრეკას უტარებდა, მისთვის ნარკოტიკული საშუალების ჩადებას ცდილობდა.**

**— აღნიშნული ვიდეოფირის გამჟღავნებას ბრალდების მხარე გვიკრძალავდა, თუმცა ჟურნალისტებს მაინც გადავეცი იგი, — განაცხადა ციალა კაშიამ, რომლის მიმართაც დაწესებულებაში ფარულად მობილური ტელეფონის შეტანის მცდელობის ბრალდებით საქმეა აღძრული, საქმის არსებითი განხილვა 30 მაისისთვის არის ჩანიშნული.**

**ციალა კაშია საგამოძიებო სამსახურში უკვე მეორედ დაიბარეს. როგორც ის ამბობს, სასჯელაღსრულების სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში კითხვებს იგივე ბრალთან დაკავშირებით უსვამენ, რაც უკვე წაყენებული აქვს და ვარაუდობს, რომ სასჯელაღსრულების საგამოძიებო დეპარტამენტში მას დამატებითი ბრალის წარდგენა ემუქრება.**

ინტერპრესი

## წკეპლიკა

# გამოსაძიებელი „აქეთაც“ ცოტა როდია

**„ეს ჩვენი ცანგალა-ბიჭი“, ეს ჩვენი „გაგრძელება იქნება“ თუ „დასასრული არ იქნება“ პრეზიდენტი გვყავდეს კარგად და გამოსაძიებელს რა გამოლევს. აგერ ახლაც თურქული ტრაილერიადა გახდა მოსაჩხრეკი და გასაშიფრი, თითქოს უმაგისოდ თავში საცემი გვაკლდა...**

ისე ეგ მიშა, ეგ ჩემის სამმაგმოტეხილობიანი და ეგ ჩემის ორმოცნაკერიანი, მართლა მაგარი ყოფილა; არ გინდა ხუთსაათიანი ნარკოზის, სამმაგმოტეხილობიან მხარზე ოპერაციის (სადმე მის აშენებულ ქართულ კლინიკაში კი არა, თურქეთის ამერიკულ ჰოსპიტალში) მერე, მეორე დღესვე, სულ მხრების თამაშ-თამაშით „დაუვიზიტო“ იქაურ პრეზიდენტს, საიდანაც, ისევ მხრების შეთამაშებით, პოლონეთში გააფრინო... კომპიუტერივით პერსონალური ბიონგი?..

ახლა 2008 წლის აგვისტოს ომის გარემოებათა დამატებით გამოძიებაზეა მითქმა-მოთქმა ამტყდარი (არჩევანი შენ, არადანი მე, მითქმა შენ, მოთქმა მე...); ოღონდ იმ აგვისტომდე 20 იანვარი ხომ იყო, როცა თბილისში, იპოდრომზე შემდგარ საპროტესტო აქციაზე, 300 ათასი მომიტინგე შეიკრიბა (მანამდე გაუგონარი სამიტინგე ციფრი, თანაც იანვრის სიცივეში, კაცოოო!..). აპროტესტებდნენ მეორე საპრეზიდენტო ინაუგურაციას, იმას, რომ ერის მოღალატე მიხეილ სააკაშვილი საქართველოს პრეზიდენტი აღარ უნდა ყოფილიყო, მით უფრო ახლო 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგის გაუგონარივე დარბევის ფონზე (2011 წლის 26 მაისის ამბებმა ის გაუგონრობაც „გაახუნა“...).

300-ათასიან კრებულში საბრძოლო განწყობა იყო, აქციის ვაი-ლიდერებმა კი იმოდენა აუდიტორია მოტყუებული, ხახამშრალი, „პირში ლოცვაგამოვლებული“ დასტოვეს: ახლა ქაშვეთში წავიდეთ და ვილოცოთო! არადა, იმისთანა შეკრებას რომ გონიერი, დამრაზმველი წინამძღოლი გამოსჩენოდა და სწორი მიზნისკენ, სწორი ორიენტირით წაეყვანა ხალხი, იმ 20 იანვრამდე გადაუვლიდნენ მოუშორებულ უბედურებას მიხეილ სააკაშვილს თავის ამალიან-ნაცბანდიან-კანცელარიანა და ააცილებდნენ ქვეყანას იმდენ მომავალ ჭირს და, პირველ ყოვლის, ზაფხულზე, აგვისტოში მოსასვლელს. განა საკვირველი არ არის, რომ უზარმაზარ, 300-ათასიან მასაში ერთი გონიერი, შემართული პიროვნება არ აღმოჩნდა, წინ რომ გამოსულიყო, მიკროფონს მისდგომოდა და ეთქვა — ხალხო, რა დროს ლოცვაა, განა სალოცავად შევიყარენით, წავიდეთ და იმ ნაცბანდისა და იმ მთავნაცის პარპაშს ბოლო მოვუღოთო! ვაი, რომ არ აღმოჩნდა!! ჰოდა, ესეც გამოსაძიებელია — ვინ იყო სრულიად შეუფერებელი ლოცვა-ლოზუნგის მსროლელი, ვინ ედგა მას გვერდით და რატომ მოიქცა ასე ეს ამხელა აუდიტორია, რატომ მოექცა ყველას მხარიცა და ტვინიც...

ეგებ მართალი უთქვამთ — „რომ უნდა ვიყოთ, არ ვართ ის ხალხი, რაც ხდება, ჩვენზე ახია, ახი“...

ჰო, გამოსაძიებელი დიახაც, ბევრია, თანაც მედლის ორივე მხარეს, თუ გნებავთ, ბარიკადებისა...

**ბერდია ბედოიძე**

## გვეხმაურებიან

# მარიკა ლორთქიფანიძე: მხოლოდ მოსწავლეების სასარგებლოდ!



ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის პუბლიკაციას — **„ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება, „არც მწვადი დავწვათ და არც შამფურიო“**, ეხმაურება აკადემიკოსი **მარიკა ლორთქიფანიძე:**

**— მიმაჩნია, რომ ძალიან კეთილშობილური და სწორი გადაწყვეტილებაა, რომ ბავშვებს სახელმძღვანელოები უნდა მიეცეთ უფასოდ.**

**ამასთანავე, მოგახსენებთ, საკანონმდებლო და ფინანსურ საკითხებში მე ვერ ვერკვევი. ვფიქრობ, განათლების სამინისტრომ, გამომცემლობებმა, კეთილი ინებონ, დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან და მიაღწიონ შეთანხმებას, რათა ეს საკითხი, ჩვენი პიროვნული სარგებლიანობის დაძლევით, მოსწავლეების სასარგებლოდ გადაწყდეს.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### თაოზა

# ლევან ყიფიანმა განმუხურის სკოლას 2000-მდე წიგნი გადასცა

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა განმუხურის საჯარო სკოლას 2000-მდე წიგნი საჩუქრად გადასცა.**

პროექტი განხორციელდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარების ფონდის დახმარებით.



როგორც მინისტრი აცხადებს, მსგავსი ინიციატივები არა მხოლოდ განმუხურში, არამედ საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში განხორციელდება.

განმუხურის სკოლა საოკუპაციო ჯარის წარმომადგენლებმა გაძარცვეს, მათ ამის შემდეგ დახმარებისთვის ფონდ „იავნანას" მიმართეს, რის შემდეგაც დახმარება გაეწიათ.

**ბეჟან დოლიძე**

### ცურვა

# ვაშაკიძის უკრაინული „ოქრო"

**ივანო-ფრანკოვსკში დამთავრდა 1995 წელს და უფრო გვიან დაბადებულ მოცურავეთა უკრაინის ღია პირველობა, რომელშიც ოთხი ქართველიც (დელეგაციას მწვრთნელი მანანა თურქია ხელმძღვანელობდა) მონაწილეობდა.** წარმატებით იასპარეზა რუსთაველმა აკაკი ვაშაკიძემ, რომელმაც ორი-სამი წლით უფროსებთან პაექრობაში (იგი 1998 წელსაა დაბადებული) ბატერფლაით 286 ქულა მოაგროვა (გამარჯვებული სამი დისტანციის ქულათა ჯამით ვლინდებოდა) და ოქროს მედალი მოიპოვა. მეორე-მესამე ადგილები მასპინძლებს – ვლადისლავ ეფრემოვსა (269) და ვლადიმირ კუპენკოს (250) ერგოთ. ვაშაკიძის წარმატება იმითაც არის სასიამოვნო, რომ წლეულს უტრეხტში იგი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში გამოვა და უკრაინული გამარჯვება მისთვის ერთგვარი სტიმული იქნება.



თბილისელმა დავით შახნაზაროვმა თავისუფალი ყაიდით ცურვაში 253 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა და მესამე ადგილზე გასულ რომან გუმეცკის (უკრაინა) 4 ქულით ჩამორჩა. ჩემპიონობა მოლდოველმა კონსტანტინ მოლაკმა (275) მოიპოვა, ვერცხლი რუს სტანისლავ იურკოვს (271) ერგო. ამავე დისციპლინაში თბილისელი გიორგი ბიგანიშვილი (1997 წელს დაბადებული) 233 ქულით მე-8 ადგილს დასჯერდა. ბრასით მე-5 იყო (244 ქულა) 1997 წელს დაბადებული ვასილ ხიზანიშვილი.

**ლექსო ცინცაძე**

### ეროვნული თასი

# ბილიკი ევროპისკენ

**მოგეხსენებათ, წლევანდელ ქართულ საფეხბურთო სეზონში მოვლენები ისე ვითარდება, რომ, სავსებით შესაძლებელია, თბილისის „დინამომ" დუბლი შეასრულოს და ევროპის ლიგაში ასპარეზობის უფლება დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების ფინალისტმა მოიპოვოს. ბუნებრივია, ეს მშვენიერი სტიმულია უძლიერესთა კვარტეტისთვის, მით უმეტეს, საჩხერელთათვის, რომლებსაც ჯერჯერობით არ დაუჭაშნიკებიათ საერთაშორისო სარბიელი.**

**„ჩიხურა" – „სიონი" 2:0**

ივანწმინდაში გამართული პირველი ნახევარფინალური რაუნდის ბედი გარკვეულწილად მძიმე კლიმატურმა პირობებმა გადაწყვიტა. კერძოდ, ეს მეორე გოლზე – რეხვიაშვილის შესრულებულ შორეულ საჯარიმოზე ითქმის, როცა ბურთი სველ გრუნტზე ასხლტა და სტუმართა მეკარე ბობლიაშვილმა ვერ მოიგერია. სხვათა შორის, ანგარიშიც სტანდარტული მდგომარეობიდან გაიხსნა – იმ ეპიზოდში ბურთი ხელზე მოხვდა ქემოკლიძეს და ოდიკაძემ, ტრადიციისამებრ, აუღელვებლად შეასრულა პენალტი.



შეგახსენებთ, რომ ქვემოქართლელებმა წინა ეტაპის საწყისი შეხვედრაც ორბურთიანი სხვაობით დათმეს ქუთაისის „ტორპედოსთან", მაგრამ საპასუხო ბრძოლა სასურველი რევანშით დასრულდა (1:3, 2:0). ასე რომ, 10 მაისსაც მძაფრი დუელია მოსალოდნელი.

**„მეტალურგი" – „დინამო" 2:1**

აღსანიშნავია, რომ ფავორიტთა მატჩს სირიელი(!) მსაჯი აბდულა ბასლეპლო უძღვებოდა, ხოლო დუშან უჰრინის გუნდს დისკვალიფიცირებული ესპანელი ბომბარდირი ჩისკო აკლდა.

ამის მიუხედავად, „თეთრ-ლურჯებმა" დაწინაურება მაინც მოახერხეს. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც დვალმა რაზმაძეს აართვა ბურთი და მოწინააღმდეგის კარის შორეულ კუთხეში გაგზავნა.

გიორგი ყიფიანის შეგირდებმა მდგომარეობა მინდორზე ახალკაცის გამოსვლის შემდეგ გამოასწორეს. მან ჯერ ლორიას მიერ უხერხულად მოგერიებულ ბურთს მიუსწრო და დასწრებაზე აჯობა ყველას (ვიდეოგამეორებაზე გამოჩნდა, რომ ამ ეპიზოდში ვეტერანი თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდა), ხოლო 85-ე წუთზე საჯაიას გაუწია ასისტენტობა და მანაც ეფექტური დარტყმით მოუტანა გამარჯვება რუსთაველებს – 2:1.

დაგვეთანხმებით, ასეთი შედეგი უმწვავეს მატჩ-რევანშს გვიქადის.

**გიორგი შოთაძე**

### ძიუდო

# ბერუაშვილის მემორიალზე

**გორის, ქარელის, კასპის, ხაშურის, მცხეთის, დუშეთის, მარტყოფის, მარნეულის, ყვარლის, სამტრედიისა და თბილისის 1997–1999 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებთან ერთად ბაქოს ორი კლუბის წარმომადგენლები ჩაებნენ გორში ცნობილი ფალავნის - დურმიშხან ბერუაშვილის მემორიალში. სულ საპრიზო ადგილებისთვის 200-მდე მოჭიდავე იბრძოდა. დაძაბული პაექრობების შემდეგ კვარცხლბეკზე ავიდნენ:**

**46 კგ.** 1. ვასილ ქერდიყოშვილი, 2. ზურა კახნიაშვილი (ორივე – გორი), 3. ლევან გამრეკელაშვილი (ქარელი) და გიგა თეთრაშვილი (თბილისი).

**50 კგ.** 1. გიორგი გივიაშვილი (თბილისი), 2. თემურ ნოზაძე, 3. ალეკო მამიაშვილი და ალეკო კაიდარაშვილი (სამივე – გორი).

**55 კგ.** 1. შოთა ბესიაშვილი (თბილისი), 2. კნიაზ მახმუდლი (ბაქო), 3. თორნიკე არჩუაძე (გორი) და გიორგი ჭოხონელიძე (თბილისი).



**60 კგ.** 1. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 2. დიმიტრი ცაბაძე (თბილისი), 3. ვანო მახათაძე და ირაკლი გოგატიშვილი (ორივე – გორი).

**66 კგ.** 1. ბექა უდესიანი, 2. ლაშა დუდაშვილი, 3. გიორგი დიდებაშვილი (სამივე – თბილისი) და დათო კოპაძე (გორი).

**73 კგ.** 1. გოგა ქევხიშვილი (თბილისი), 2. გიორგი მულაძე (ქარელი), 3. ვასილ ბალაბანაშვილი და გიორგი ხაჩიძე (ორივე – თბილისი).

**81 კგ.** 1. დათო იმერლიშვილი, 2. ნიკა სიდამონიძე (ორივე – ქარელი), 3. რობიზონ სუხიშვილი და ოთარ გურგენიძე (ორივე – თბილისი).

**+81 კგ.** 1. თედო წოწინაშვილი (თბილისი), 2. გიორგი სამხარაძე (მარნეული), 3. გიორგი ხითარიშვილი (გორი) და გენადი ლომსაძე (თბილისი).

**გივი გაგუა**

### კალათბურთი

# სიზმარი ცხადში

**სუპერლიგის საპლეიოფო დღე თბილისის „დინამოსა" და ჯერაც ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „არმიის" დრამატული ბრძოლით დაგვირგვინდა.**

**„დინამო" – „არმია" 67:66**

ამ შეხვედრაში მართლაც უპრეცედენტო ფაქტი მოხდა – თავდაცვის სამინისტროს გუნდმა ის მატჩი წააგო, რომლის დასრულებამდეც 5 წამით ადრე მეტოქეს 4 ქულით ამარცხებდა – 66:62. ალბათ, ღირს დროის დასკვნით მონაკვეთს რამდენიმე სიტყვა შევაწიოთ.

მაშ ასე, ამ ეპიზოდში ძალოვანთა ცენტრმა შარაბიძემ ორივე საჯარიმო ჩააგდო და პარტნიორებთან ერთად ქომაგთაგან უკვე მილოცვებს იღებდა. თურმე, სად ბანაობდა...

...წუთშესვენების შემდეგ მოედნის კიდიდან შემოტანილ ბურთს კარტერი დაეუფლა და საფინალო სასტვენამდე 4 წამით ადრე ანგარიშში სხვაობა შეამცირა (ერთი წამი სწორედ ამ მომენტში გავიდა).

და აი, სწორედ ამ დროს დაიბადა სასწაული: თამაშის განახლებისთანავე ლეჟავა შეცდა, ბურთი ორმოცაძეს „გადაულოცა" და ამ უკანასკნელმაც ფარქვეშიდან ზუსტ ტყორცნასთან ერთად საყვარელიძეს საბედისწერო ფოლი გამოსტყუა, რომელიც ორმოცაძემ ზუსტად შეასრულა – 67:66.

სხვათა შორის, საყვარელიძე, ბედის ირონიით, ამ დუელის ანტიგმირად კიდევ ერთი „იაღლიშის" გამო იქცა, როცა ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში უნებლიეთ საკუთარი კალათი დალაშქრა.

რაც შეეხება მთლიანად მატჩს, იგი არმიელთა მძლავრი მარშით დაიწყო – 11:0, თუმცა „თეთრ-ლურჯებმა" ჩიკვილაძის ძალისხმევით თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და სერიაში დაწინაურდნენ კიდეც 1:0.

**შსს აკადემია – „სოხუმი" 84:66**

მართალია, გიგანტ ათუაშვილს ამჯერად თამაში არ წაუვიდა, მაგრამ ქადარიამ, სტოიაკოვიჩმა, ჩლაიძემ და შვანგირაძემ იმდენი მოახერხეს, რომ ზღვისპირელებს ორი მეოთხედი მოაგებინეს და მხოლოდ დასკვნით პერიოდში აღარ ეყოთ ძალა ფავორიტთან სენსაციის მოსახდენად.

როგორც ყოველთვის, წესრიგის დამცველთა წარმატება მნიშვნელოვანწილად ამერიკელმა ლეგიონერებმა განაპირობეს რეიმონდის თამადობით.

დავძენთ, რომ, ობიექტური რეალობის გათვალისწინებით, ამ წყვილში, ალბათ, სწორედ შსს აკადემიის გუნდი წაიწევს წინ, რომელსაც იმავე მეტოქესთან ბოლო ორი სეზონის პლეიოფში მარცხისთვის რევანში მართებს. თუმცა, ვინ იცის!

**„ოლიმპი" – თსუ 99:64**



დაგვეთანხმებით, რომ ამ უთანასწორო ძიძგილაობის შედეგი ყველაფერზე მეტყველებს. მართლაც, რეგულარული სეზონის გამარჯვებულს თავი ამთავითვე ქუდში აქვს.

**დღეს სპორტკომპლექს „არენაში" მეოთხედფინალური სერიის მეორე შეხვედრები ასეთი განრიგით გაიმართება:** „ოლიმპი" – თსუ (16 საათზე), შსს აკადემია – „სოხუმი" (18 საათზე) და „დინამო" – „არმია" (20 საათზე).

**ვიტალი ჯაფარიძე**

### ჩემპიონთა ლიგა

# ეპოქის დასასრული?

**ჩემპიონთა ლიგის 2008-2009 წლების გათამაშებაში „ბარსელონამ" ნოკაუტში ჩააგდო მიუნხენის „ბაიერნი" – 4:0, 1:1. გავიდა რამდენმიე წელიწადი და ბავარიაში სრულფასოვანი რევანში შედგა.**

**„ბაიერნი" – „ბარსელონა" 4:0**

**გოლები:** მიულერი (2), გომესი, რობენი.

რამდენიმე გასათვალისწინებელი ფაქტორი კატალონიელთა კრახს ნამდვილად მოეძებნება, თუმცა ამით საერთო სურათი არ იცვლება – როგორც ჩანს, თანდათან უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ, როგორც ყველაფერს ამ ქვეყანაზე, „კამპ ნოუს" გენიალურ ბინადართა ჰეგემონიასაც ნელნელა ესმება წერტილი.



რადგან ზემოთ სტუმართა ჩავარდნა ვახსენეთ, დავაკონკრეტოთ მისი გამომწვევი მიზეზების ნაწილი: ლაზარეთად ქცეული დაცვის ცენტრი (პუიოლი, მასკერანო), ვარსკვლავთა ასაკი (ხავი, ინიესტა), მესის ტრავმა, მთავარი მწვრთნელის ვილანოვას ავადმყოფობა, მსაჯების არცთუ კეთილგანწყობა, რაც „ალიანს არენაზეც" დადასტურდა. დაგვეთანხმებით, საკმარისია, თუმცა სიმართლეს თვალი უნდა გავუსწროთ და ვაღიაროთ, რომ შარშანდელი გათამაშების ფინალისტი, პირიქით, მას შემდეგ საგრძნობლად მომძლავრდა და ლამის იმ სახელოვან წინამორბედთა თაობა დაჩრდილოს, რომელიც გასული საუკუნის 70-იან წლებში საფეხბურთო სამყაროს აზანზარებდა.

ეს, რასაკვირველია, იუპ ჰაინკესის დიდი დამსახურებაცაა, რომელიც შთამბეჭდავ სამწვრთნელო კარიერას სწორედ წლევანდელი სეზონის შემდეგ ამთავრებს, ლონდონური ტრიუმფი კი მისთვის დიდებული ჩაროზი იქნება.

ამ ნიუანსების გათვალისწინებით, გარკვეულწილად, საგულისხმოა გარი ლინეკერის მიერ გამოთქმული მოსაზრება – გვარდიოლა „ბარსელონას" სჭირდება და არა „ბაიერნსო", სადაც მან ჰაინკესი უნდა შეცვალოს.

**და ბოლოს:** ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია, როცა ორი ტიტანის შერკინებაში ერთ-ერთი იჭყლიტება. საილუსტრაციოდ, ჩემპიონთა ლიგის 1994 წლის დაუვიწყარი ფინალი, როცა „ბარსელონა" კუმან-რომარიო-სტოიჩკოვიანად იმავე საკრალური ანგარიშით შერცხვა „მილანთან" – 0:4.

ასე რომ, მიუნხენური ფიასკოს ბუზისგან სპილოს ნუ შევქმნით.

**მანუჩარ გიორგაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ფიქრთ გასართველად

# როგორ შევაჩეროთ სიბერე

**აკადემიკოსი ვლადიმირ სკულაჩოვი სიახალგაზრდავის აბებზე მუშაობს**

**იმისთვის, რომ დაეხმაროს ადამიანს ებრძოლოს თვალის სიბერის დაავადებებს, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ვლადიმირ სკულაჩოვს დასჭირდა 10 წელი, ათობით მილიონი დოლარი და ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც მან საზღვარგარეთიდან დააბრუნა. როგორ შეძლო მან ეს ყოველივე?**

— ჩვენს ამბიციურ პროექტს არ შეეძლო სტარტი აელო უფრო ადრე, ვიდრე 10 წლის წინათ იყო. არც საბჭოთა ხელისუფლების დროს, არც ახალი რუსეთის პირველ წლებში მისთვის არავინ გაიღებდა ფულს, ვინაიდან ეს იდეა — შევაჩეროთ სიბერე — უაზრობაა.

### კერძო ფული მეცნიერებისთვის

**— ახლაც ეს იდეა არანაკლებ ფანტასტიკურია. როგორ შეიძლება ეს?**

— უჯრედი საკვებ ნივთიერებებს ამუშავებს ჟანგბადის დახმარებით. ეს მნიშვნელოვანი და საჭირო პროცესია. მაგრამ ჟანგბადის დაახლოებით 1 პროცენტი მიდის თავისუფალი რადიკალების — შხამისა, რომელიც აზიანებს ორგანიზმს — წარმოქმნაზე. და რაც წლები გვემატება, მით მეტი შხამი წარმოიქმნება. ჩვენი ამოცანაა — თავიდან მოვიშოროთ რადიკალების ეს სიჭარბე, გავაკეთოთ ისე, რომ ისინი 70 წლის ადამიანის უჯრედებშიც იყვნენ თითქმის იმდენი, რამდენიც 25 წლისაში. ჩვენ, არსებითად, მოვიფიქრეთ შხამის საწინააღმდეგო რამ (ეგრეთ წოდებული სკულაჩოვის იონები — რედ.) და ვაიძულეთ ორგანიზმი არ დაბერდეს.

პირველი რამდენიმე წელი მხოლოდ კერძო ფულზე ვმუშაობდით, შევძელი დამერწმუნებინა ერთი მდიდარი კაცი — წასულიყო რისკზე. ეს იყო ოლეგ დერიპასკა. და ის ძალიან გვეხმარებოდა, სანამ კრიზისი არ დაიწყო. 7 თვე უფულოდ ვიყავით. მე-8 თვეში, საბედნიეროდ, გამოჩნდა „როსნანო“ ჩუბაისის სახით, რომელიც მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ვ.სადოვნიჩიმ დაიყოლია. შარშან 16 ივლისს კი მოსკოვის პირველ აფთიაქში გაჩნდა თვალების სიბერის დაავადების საწინააღმდეგო წვეთები. ვიმეორებ, ჩვენ ფულის გარდა, არაფერი გვითხოვია — არც სათავსი, არც მოწყობილობა, არც ხალხი. პროექტზე — „მცდელობა — შევაჩეროთ სიბერე“ — უკვე 20 მილიონ დოლარზე მეტი დაიხარჯა. ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი დაინტერესდნენ — იქ ამჟამად უკვე დამთავრდა კლინიკამდელი გამოცდა ცხოველებზე. და უახლოეს პერიოდში უნდა დავიწყოთ კლინიკური გამოკვლევები ამერიკელებზე. მაგრამ ამას წლები დასჭირდება...

**— დარწმუნებული ხართ, რომ მიაღწევთ შედეგებს?**

— სულაც არა ვარ დარწმუნებული. მაგრამ თუ ჩვენ ვერ მივიღებთ შედეგებს, ვინმე გამოგვყვება, გაასწორებს ჩვენ შეცდომებს, გამონახავს სხვა ხერხს და შრომა არ დაიკარგება. ასე მუშაობს მეცნიერება მთელ მსოფლიოში.

**— ამბობთ „გამოგვყვებაო“. ვინ? ყველა ხომ მიემგზავრება...**

— დიახ, მაგრამ ჩვენ ძალიან მარტივად გავაკეთეთ: მოგვცეს ფული, დავიქირავეთ ბინები და რამდენიმე ძლიერი მეცნიერი სიხარულით დაბრუნდა! მაგრამ ჩვენი პროექტი — უნიკალური შემთხვევაა. რატომ მუშაობენ ახლა ჩვენი მეცნიერები უფრო ცუდად, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში? რუსეთის მეცნიერებას აქვს ერთი უზარმაზარი ნაკლი: ფულის უკმარისობა. ბოშა შეეცადა ესწავლებინა ცხენისთვის, რომ ჭამას გადაჩვეულიყო. უკვე ლამის ასწავლა კიდეც, მაგრამ ცხენი... მოკვდა. თქვენ გინდათ, რომ რაღაც შეცვალოთ მეცნიერებათა აკადემიაში? დასაწყისისთვის შეეცადეთ გამოკვებოთ იგი.

**— „სკოლკოვო“?**

— „სკოლკოვო“ — არ არის ცუდი იდეა, მაგრამ მაინც არის შეგრძნება, რომ ისინი ისევე, როგორც მეცნიერებისგან შორს მყოფი პუბლიკა, მიიჩნევენ, რომ რუსული მეცნიერება გარდაიცვალა. მიცვალებულებს მხარს არ უჭერენ, ისინი უნდა დაკრძალო და ძეგლი დაუდგა. აი, სადამდე მივედით — ტოტალური უნდობლობა ყოველივე რუსულისადმი!

**— თვალის წვეთები გაჩნდა, შემდეგი ეტაპი?**

— ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ ორი წლის შემდეგ გაჩნდეს წამალი, რომელიც მთელ ორგანიზმზე იმოქმედებს. დაბერება — ეს არის ორგანიზმის დასუსტების პროგრამა იმისთვის, რომ დავაჩქაროთ ევოლუცია. მაგრამ ადამიანს ევოლუცია უკვე აღარ სჭირდება! როდესაც აფრენა გვინდა, ვაგებთ თვითმფრინავებს და არ ველოდებით, თუ როდის ამოგვივა ფრთები.

**— თქვენ არ გეშინიათ ისეთი საზოგადოებისა, სადაც ყველა ცხოვრობს დიდხანს და ბედნიერად თქვენი წამლის წყალობით? ამჟამადაც კი პენსიები რუსეთში მათ, ვინც ცოტა ხანს ცოცხლობს, არ ჰყოფნით...**

— ეს ჩემი პრობლემა არ არის. მე ასეთი შესაძლებლობა უნდა მივცე კაცობრიობას, იგი კი ამას თავად გადაწყვეტს. მე მეცნიერი-ბიოლოგი ვარ, მე ჩემს ნაწილს ვწყვეტ, ფილოსოფოსებმა, ეკონომისტებმა კი თავად მიხედონ თავიანთ ნაწილს. ასევე შეიძლება ითქვას: თქვენ გამოიგონეთ ანტიბიოტიკები — და არამზადები აღარ კვდებიან ინფექციისგან. იქნებ, ჰიტლერი გაცილებით ადრე მომკვდარიყო, რომ არ ყოფილიყო მკურნალობის რაიმე ხერხი. მაგრამ ეს ხომ არასერიოზულობაა?!

**— თუ იცით რაიმე სამამულო დამუშავება, რომელსაც გარღვევა შეიძლება ეწოდოს?**

— არის შესანიშნავი საშუალება ინსულტების შედეგების სამკურნალოდ, რომელიც აკადემიკოსმა მიასოედოვმა დაამუშავა. თუმცა, რატომღაც, პრეპარატი არასაკმაოდ პოპულარულია. ვფიქრობ, პრობლემა აქაც ისაა, რომ საზოგადოება არ არის მზად იმისთვის, რომ რაღაცის გაკეთება შეგვიძლია.

### სიცივე, შიმშილი და გენები

**— თუ არის სიცოცხლის გახანგრძლივების სხვა გზები?**

—ჩვენის გარდა, კიდევ ხუთი გზაა. პირველი, ყველაზე დაშორებული და რომელიც დაუჯერებლად გვეჩვენება, ესაა გენური, ესე იგი შეიცვალოს ბუნებრივი გენომი — უნდა ჩავერთოთ ემბრიონში. მეორე გზა — კვების დროებითი შეზღუდვა. ხერხი მოქმედია არა მხოლოდ ადამიანისა და სხვა ძუძუმწოვრებისთვის, არამედ თევზებისთვისაც, მწერებისთვისაც, ჭიებისთვისაც.



**— ამიტომ ხომ არაა, რომ ბერმონაზვნები და იოგები უფრო დიდხანს ცოცხლობენ?**

— არა მხოლოდ ამიტომ! მესამე გზა განმარტავს მათი სიცოცხლის ხანგრძლივობას. შენ უნდა იცოდე, რომ სჭირდები არა მხოლოდ საკუთარ თავს, არამედ კიდევ ვიღაც სხვას, და უნდა გესმოდეს, რომ მართალია, შენ ხარ ბებერი, მაგრამ ხარ დამოუკიდებელი და შენ სანაგვეზე პანღურის ამორტყმით ვერავინ გადაგაგდებს. რელიგიურ ადამიანს აქვს ორივე ეს ვითარება და შეგონება — ის უფალს სჭირდება. და ღმერთი მას არასოდეს არ მიატოვებს.

მეოთხე გზა — ესაა კუნთების მძიმე მუშაობა. უკანასკნელი კი მხოლოდ ახლა აღმოჩნდა. შესანიშნავი გამოკვლევა ჭიებზე, მაგრამ არის საფუძველი ვივარაუდოთ, რომ დასკვნები სწორია ადამიანისთვისაც. ესაა სიცივის სტრესი. ესე იგი, გაყინვას აქვს სამეცნიერო პერსპექტივა.

**— მე, მაგალითად, ამ დილით საერთოდ არ მინდოდა არაფერზე ფიქრი, არა თუ გაყინვაზე, შიმშილზე და მძიმე სამუშაოზე. რა გაძლევთ ძალებს სიცოცხლისთვის?**

— ჩემი ზეამოცანა. ფანტასტიკური რაღაცები ვლინდება. თურმე, უჯრედში არის კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ბრუნავს ძალიან სწრაფად, იგი ერთვება სრულიადაც არა დაბერებასთან დაკავშირებით, არამედ ორგანიზმის ბიოქიმიური თვითლიკვიდაციის დროს. ვფიქრობ, ის ასე იზღვევს თავს მახინჯების გაჩენისგან მემკვიდრეობაში. მაგალითად, იყო ძლიერი კრიზისი, რის შემდეგაც ორგანიზმს არ შეუძლია მოგვცეს თავისი გენომის შენარჩუნებისა და დაცვის გარანტია და ამოქმედებს „მკვლელობის“ მექანიზმს. შედეგად ვღებულობთ მოულოდნელ სიკვდილს. ზოგჯერ ამოუხსნელს...

**— რისი გეშინიათ ყველაზე მეტად? მსოფლიოს აშინებენ ჩინელები...**

— ჩინელები? არა, სულელებისა მეშინია.

**შესაძლებელია მუდმივი ახალგაზრდობა? დიახ, უპასუხებენ მეცნიერები.**

**ინდირა კოძასოვა**

Аргументы и факты

---

გარდაიცვალა ნიჭიერი, განათლებული ხელოვნებათმცოდნე



### ნინო ზაალიშვილი

მუშაობდა სახვითი ხელოვნების მრავალ დარგში. გააფორმა წიგნები, ქართული ზღაპრები, მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში — თეირანი, იუნესკო, პარიზი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართველ მხატვართა შემოქმედების შესახებ.

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი სინანულით იუწყება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ქალბატონი ნინო ზაალიშვილის გარდაცვალებას, უსამძიმრებს ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

მერაბ ბერძენიშვილი

---

ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის კოლექტივი იუწყება, რომ ბუნებრივ ნაერთთა ქიმიური მოდიფიკაციის ლაბორატორიის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს მერი კახაბრიშვილს გარდაეცვალა

**დედა**

და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

## ალიან-ჩალიანი

### „შეღავათები“ დათა ახალაიას

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი არ გამორიცხავს, რომ გამოძიებასთან თანამშრომლობის შემთხვევაში კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს დათა ახალაიას „შეღავათი გაუწიონ“.

— დათა ახალაია იყო კუდ-ის ხელმძღვანელი და მას ხელი მიუწვდებოდა ბევრ ინფორმაციაზე, ამიტომ ჩვენს უწყებასთან მისი თანამშრომლობა საინტერესო იქნება. გამორიცხული არ არის, აქედან გამომდინარე, მას შეღავათიც გავუწიოთ. თუ დათა ახალაიას აქვს სურვილი, თავის ქვეყანასა და ხალხს უთხრას სიმართლე, რა ხდებოდა რეალურად და რა დავალებებს აძლევდნენ მას, ეს დაეხმარება გამოძიებას იმ მრავალი საქმის გახსნაში, რომლებიც დღემდე ბურუსითაა მოცული. საბოლოო ჯამში კი ეს ქვეყანას წაადგება. არ გამოვრიცხავ მასთან თანამშრომლობას, გამოძიებისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, — აცხადებს ირაკლი ღარიბაშვილი.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრი „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 19 აპრილს გამართულ აქციაზეც საუბრობს და ფიქრობს, რომ აქციის მონაწილეთა უმრავლესობა რუსთაველის გამზირზე ანგარებით იყო მისული.

მისივე შეფასებით, „ცუდი ტონი იყო, რომ პრეზიდენტს მისმა ყოფილმა შს მინისტრმა აქციაზე ზურგი შეაქცია“ და სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას იქაურობა დატოვა.

### საფრანგეთში ქართული კრიმინალური ჯგუფის წევრები დააკავეს

საფრანგეთის ქალაქ ლიონში ქართული კრიმინალური ჯგუფის წევრები დააკავეს. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ აყვანილია კრიმინალური ჯგუფის ოთხი წევრი, რომლებმაც 2011 წლიდან გრანდლიონში 75-მდე ბინა გატეხეს.

ქართველი კრიმინალები ბინების გატეხის დროს კუსტარულად დამზადებული გასაღებით სარგებლობდნენ.

როგორც ფრანგული მედიასაშუალებები იუწყებიან, ოთხივე დაკავებული ნარკოტიკის მომხმარებელია.

სამართალდამცველებმა მოპარული ნივთები უკვე ამოიღეს. მიმდინარეობს გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვის ეკუთვნის მოპარული ნივთები.

ინტერპრესი

---

## იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი**

**კითხვა: ვმუშაობ სახელმწიფო დაწესებულებაში მცირე ხელფასზე, არ ვარ საჯარო მოსამსახურე. გთხოვთ მაცნობოთ, კანონის თანახმად შემიძლია თუ არა ვიმუშაო შეთავსებით?**

**მირიან გოცაძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, შრომითი ხელშეკრულება შეთავსებით სამუშაოზე შეიძლება დაიდოს პირთან, რომელსაც ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს შეუძლია სხვა ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულება

* * *

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ ბიულეტენის წარდგენიდან რამდენ დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან?**

**ლეილა კობერიძე**

**პასუხი:** მოქმედი კანონის თანახმად, დამსაქმებელი (დაწესებულება) ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი ანდა წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე.

**ტელ: 595 05-11-77**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

### მომავლის კონტური

# „რექსი“ - ადამიანის მომავალი?

**რამდენიმე დღის წინათ ლონდონის მეცნიერების მუზეუმში ნამდვილი სასწაული აჩვენეს მოწვეულ სტუმრებს: დამსწრე საზოგადოებას მსოფლიოში პირველი ჰუმანოიდი „ბიონიკ მენი“ (Bionic Man) წარუდგინეს.**



ეს თითქმის საზრიანი ადამიანისმაგვარი არსება თითქოს ფანტასტიკური რომანების ფურცლებიდან გადმოვიდა. ამ ორმეტრიან არსებას მეცნიერებმა რატომღაც „რექსი“ დაარქვეს, რაც უფრო ძაღლის სახელს წააგავს.

**ბიონიკურ არსებას აბსოლუტურად ყველა ორგანო უბრალოდ ხელოვნური კი არა აქვს, არამედ ისეთი, რომელთა მიღება პაციენტს, ცხადია, საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი დაკარგულის ან დასნეულებულის ნაცვლად შეიძლება გადაუნერგონ.** პროთეზების წყალობით რექსი ხედავს, ესმის და დადის. მასთან საუბარიცაა შესაძლებელი — შემქმნელებმა ბიონიკური ადამიანი ხელოვნური ინტელექტით აღჭურვეს, თუმცა კი, მართალია, მას ზოგჯერ სიტყვები ეშლება: ამ შემთხვევაში თანამედროვე ტექნიკა ადამიანის თავის ტვინს ჩამორჩება.

რექსს არა აქვს საკუთარი ფილტვები, შარდის ბუშტი და კუჭი, რადგან ამ ორგანოთა ხელოვნური ანალოგები ჯერჯერობით შექმნილი არ არის, თანაც მათი შექმნა ახლო მომავალში სათუოა. ასევე შორია ხელოვნური ტვინის შექმნამდეც, თუმცა, მეცნიერები დარწმუნებულნი არიან: **დადგება დრო და ჯანმრთელი ადამიანებიც კი ძველი ორგანოების ახლებით შეცვლას მათი ცვეთისდა მიხედვით დაიწყებენ. ეს კი მარადიული ახალგაზრდობის პირდაპირი გზაა!**

საგულისხმოა, რომ ბიონიკური რექსის ხვადის ორგანო მსოფლიოს სხვადასხვა კვლევითი ცენტრის მეცნიერთა მიერაა შექმნილი: კერძოდ, **ყური** დაამზადეს სიდნეის (ავსტრალია) მაკუორის უნივერსიტეტში; **მხარი და ხელი** — გლაზგოს (შოტლანდია) „თაჩ ბიონიქსის“ კომპანიასა და მერილენდის შტატის ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში; **ელენთა** — კონექტიკუტის შტატის იელის უნივერსიტეტში; **თირკმელი და თვალი** — კალიფორნიის უნივერსიტეტში; ტრაქეა — ლონდონში ჰემპსტედის „როიალ ფრი ჰოსპიტალის“ კლინიკურ საავადმყოფოში; **გული** — არიზონის შტატის კომპანია „სინქარდიაში“; **კუჭქვეშა ჯირკვალი** ლესტერის (დიდი ბრიტანეთი) დე მონფორის უნივერსიტეტში; **სისხლი** — შეფილდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტში; **ფეხის ტერფები და სახსრები** — მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში.

რექსის ეგზემპლარის დამზადების ღირებულება მილიონი დოლარია.

ცალკე აღსანიშნავია ისიც, რომ რექსი მეცნიერ ბერტოლდ მიერის (ფოტოზე მარცხნივ) იერ-სახის მიხედვით შექმნეს, რომელიც ასევე ცოტათი კიბორგია: მისი მარცხენა ხელი — რობოტიზებული პროთეზია.

**თამარ გოგიაშვილი**

### ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „კობა დავითაშვილი გუნდური მოთამაშე არ არის“

— **მიაჩნია** გია ხუხაშვილს, — მე, უბრალოდ, მწყინს, რომ მან სერგეენკოს ძალიან მძიმე და, ვფიქრობ, უსაფუძვლო ბრალდება წაუყენა. შეიძლება, გუნდში იყოს კომუნიკაციის პრობლემა, მაგრამ ეს იმის საფუძველს არ იძლევა, რომ თანაგუნდელი კორუფციაში დაადანაშაულო. თუ საზოგადოებას ვემსახურებით, ჩვენი ემოციები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა უნდა დავაყენოთ. სერგეენკოს მხრიდან გარიგებას გამოვრიცხავ, მას შეიძლება სახეზე შევხედოთ და ამას მაშინვე მივხვდებით.

**„ახალი თაობა“**

### „დათა ახალაიასთან თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ“

— **ამბობს** შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, — ჩვენ უწყებასთან მისი თანამშრომლობა საინტერესო იქნება. გამორიცხული არ არის, აქედან გამომდინარე, მას შეღავათიც დავუწესოთ. თუ დათა ახალაიას აქვს სურვილი, თავის ქვეყანას და ხალხს უთხრას სიმართლე, რა ხდებოდა რეალურად და რა დავალებებს აძლევდნენ მას, ეს დახმარება გამოძიებას იმ მრავალი საქმის გახსნაში დაეხმარება, რომლებიც დღემდე ბურუსითაა მოცული.

**„ყველა სიახლე“**

### „დღეს მერაბიშვილი დამატებით ლურსმნებს აჭედებს ნაცმოძრაობის კუბოზე“

— **დარწმუნებულია** არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი პეტრე მამრაძე, — არ შემიძლია არ შევაფასო მარიკა ვერულაშვილის გამონათქვამი, რომ „დღეს ვანო მერაბიშვილის გვერდში დგომა არის დანაშაული“ — ეს სრული სიმართლეა! მერაბიშვილი წლების განმავლობაში ზრუნავდა იმაზე, რომ ის ყოფილიყო ერთადერთი დასაყრდენი პრეზიდენტისთვის, თუმცა, ამას ვერ მიაღწია. მე მას ვუწოდე ტერმინატორი, იმიტომ, რომ მისი ნებისმიერი ქმედება ისეთ ფაზაში შევიდა, რომ მისი მუშაობა ყველა მიმართულებით გახდა კონტრპროდუქტიული.

**„საერთო გაზეთი“**

### „ყველა საჯარო მოხელე 1 ივლისიდან კონკურსის წესით უნდა დაინიშნოს“

— **აცხადებს** საპარლამენტო უმრავლესობისა და რეგიონული განვითარების კომიტეტის წევრი გია ჟორჟოლიანი, ხოლო, ვინც არაა ასე დანიშნული, უნდა გათავისუფლდნენ და ვაკანსიები გამოცხადდეს. რიგ თვითმმართველობაში ეს პროცესი დაწყებულია და იგი სექტემბრამდე გასტანს, შეიქმნება სპეციალური საკონკურსო კომისიები, რომლებიც დაადგენენ ამა თუ იმ ვაკანსიაზე შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

საჯარო მოხელეების კონკურსის წესით დანიშვნას ემსახურება საპარლამენტო უმრავლესობაც, თუმცა, შიშობენ, რომ, შესაძლოა, კონკურსმაც მიიღოს პოლიტიკური ხასიათი.

**„რეზონანსი“**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

### ინფარქტი

# ციფრები და ფაქტები

**მიოკარდიუმის ინფარქტი — ესაა გულის კუნთის ნაწილის კვდომა სისხლის მიმოქცევის მკვეთრი შეწყვეტის გამო, რაც გამოწვეულია კორონარული არტერიის დაცობით.**

მიოკარდიუმის ინფარქტის წარმოქმნის შემთხვევების 98 პროცენტში დამნაშავეა გულის მკვებავი კორონარული არტერიების ათეროსკლეროზი.

საერთოდ გარდაცვალებათა რიცხვის 12 პროცენტი — ესაა სიკვდილი ინფარქტისგან (გულის გასკდომისგან, როგორც ძველად ამბობდნენ ხოლმე), ისინი უფრო მეტია, ვიდრე გარდაცვალებანი ინფექციური დაავადებებისგან, კიბოსგან და ავტოკატასტროფისგან.

**90 წუთი — ამდენ დროს გვაძლევს ბუნება ინფარქტის შემდეგ იმისთვის, რომ აღმოვფხვრათ თრომბი და აღვადგინოთ გულის სისხლის მიმოქცევა. თუ მოვასწრებთ ამ „ოქროს საათის“ განმავლობაში — შეიძლება განვიკურნოთ.**

ნახევარი წლის განმავლობაში კუნთის მოკვდინებულ მონაკვეთებს თანდათანობით ცვლის ნაჭრილობევი ქსოვილი, ამ ვადის შემდეგ პაციენტი შეიძლება ჩაითვალოს პირობითად გამოჯანმრთელებულად.



ინფარქტის შემდეგ გული ნაკლებად ელასტიკური ხდება, უფრო ნაკლებად ეგუება დატვირთვებს, იზრდება განმეორებითი ინფარქტების, სტენოკარდიის შეტევების, არითმიისა და სხვა გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა რისკი.

ინფარქტის შემდეგ გარდაცვალებათა 70 პროცენტი დაავადების პირველ რამდენიმე დღეზე მოდის.

**40-დან 60 წლამდე — ეს ძირითადი „საინფარქტო“ ასაკია.**

მამაკაცებზე 2-ჯერ უფრო იშვიათად გადააქვთ ინფარქტი ქალებს, ვინაც ვერ მიაღწია კლიმაქსს: ესტროგენების ჰორმონები იცავენ მათ სისხლძარღვებს. კლიმაქსის შემდეგ სტატისტიკა თანაბარდება.

**ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებამ, მოწევამ (მათ შორის პასიურმაც), მძიმე სიმსუქნემ, ცხოვრების ნაკლებადმოძრაობის წესმა, სიფიცხემ და აგრესიულობამ შეიძლება ინფარქტებთან მიგვიყვანოს.**

თუ თქვენმა მშობლებმა, ბებიებმა და ბაბუებმა გადაიტანეს ინფარქტი — თქვენ რისკის ზონაში ხართ.

ინფარქტის ხშირი ადგილობრივი სიმპტომები — ეს არის ძლიერი ზემწოლი ტკივილი მკერდში, რაც გადადის კისერში, ზურგში, მკერდში და ხელში. გაფითრება, ფისივით მწებავი ოფლი, სიკვდილის უკონტროლო შიში, ნიტროგლიცერინისგან შვებას ვერ ვგრძნობთ.

**ინფარქტის 10-ჯერ მეტი შემთხვევაა (ათას კაცზე გაანგარიშებით) ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფინეთში, ვიდრე იუგოსლავიაში, საბერძნეთში, იტალიასა და იაპონიაში, სადაც მცხოვრებლები უფრო ჯანსაღ კვებას ეწევიან.**

ЗДОРОВЬЕ

### ფოტოფაქტი



## როგორ კლავს ფეხსაცმელი?

წავიკითხე, რომ ერთ-ერთ აეროპორტში მგზავრი ქალი არ გაუშვეს რეისზე, ვინაიდან მისი ქუსლები პისტოლეტს ჰგავდა. ეს როგორ?

ასეთი ფეხსაცმელი გამოუშვა ფეხსაცმლის ერთ-ერთმა ცნობილმა ბრენდმა და მოდის მოყვარულებში იგი დიდი მოთხოვნით სარგებლობს.

### ანეკდოტები

— ოლგა პეტროვნა, აბა როგორ არა გრცხვენიათ?

— რისი უნდა მრცხვენოდეს?

— როგორ თუ რისი, ჩემს ვოვას უკვე მესამე ღამეა ტიტველი ესიზმრებით!

* * *

ნუ შეურაცხყოფთ შავ ხიზილალას ალუმინის კოვზით!



* * *

საზამთროს გამოცდილი გამყიდველი თავში ერთი შემოტყაპუნებითაც მიხვდება, არის თუ არა მისი შვილი მზად გამოცდისთვის.

* * *

სინოპტიკოსებს ამინდის პროგნოზის წინასწარმეტყველებაში ძალიან ეხმარება სიტყვა „ალაგ-ალაგ“.

* * *

ჯერ ყველაფერი კარგად იყო, მერე — ძალიან კარგად, შემდეგ კი ისე კარგად, რომ დღემდე ყველაფერი ცუდადაა.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com